

მწყემსი

საქართველო
საბჭოთაო



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოკვდით ჩემდა ყოველნი მასურადნი და ტვირთ-ძიძენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 19—20

1883—1894

1—30 აქტომბერს.

შინაარსი: მოელი დასავლეთის საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში.—ახალი ამბები და უნივერსიტეტი.—სიტყვა, თქმული ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის ბერ-მონაზონის მ. დიმიტრის მიერ 18 სექტემბერს, ქუთაისში სემინარიის დაარსების გამო.—ვინ წაიღო კვართი უფლისა და ღვთისმშობლის ხატი მცხეთის საკრებულო ტაძრიდან და ან ვინ მიიტანა ისინი რუსეთში.—ქადაგება მღაბო ხაღონა მიმართ, თქმული 1795 წ. აპრილის ნეკრესელის მიერ.—იოსებ მშენებელი.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—უეწირულებანი.—განცხადებანი.

მოელი დასავლეთის საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში. *)

სამეგრელოს სამღვდლოების დებუტატებმა კანაცხადეს: სამეგრელოს ოთხკლასიანი სასწავლებლის შენობას ორჯერ წაეკიდა ტყისლი და მესამედ 1876 წელსი სასწავლებლის შენობა და ყოველივე მისი ქონება დაიწვა. ამ დღიდან სამეგრელოს სამღვდლოება ცდილობს ხსენებული სასწავლებლისათვის შესაფერა შენობის

*) იხ. «მწყემსი» № 18, 1894 წ.

აგებას, რომლის გეგმა უკვე წარდგენილა დასამტკიცებლად უწმიდეს სინოდში და რომელი გეგმიითაც შენობისათვის ითხოვება 120,000 მანეთი, მაგრამ არა თუ ეს 120,000 მანეთი, მისი ნახევარიც ვერ შეუკრება სამღვდლოებს თავისი უკიდურესი სიღატაკისა გამო; 1876 წლიდან სამეგრელოს სამღვდლოება სასწავლებლისათვის ქირაობს სახლს მიუსუდველად თავისი სიღატაკისა ხსენებული სამღვდლოება მზად არის შემწეობა აღმოუჩინოს ქუთაისის სემინარიას, რომელიც მეტად საჭირო და სასარგებლოა დასავლეთის საქართველოს სამღვდლოებისათვის. ერთ დროებათ: დავითი რავთ სემინარიის საჭიროებისათვის სამ—სამ მანეთს თითოეული კრებულებიდან და ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ამ უეწირულებას ჩვენ მიუმატებთ, რაცა უწმიდესი

სინოდისაგან დაგკენიშნება სამღვდელოებას ის ჯამაგირი, რომელიც უკვე შესდგა და უწმ. სინოდშია წარდგენილი. ამასთანავე სამეგრელოს სამღვდელოება შესამდებლად ხედავს ერთ დროებითად შესწირვს ქუთაისის სემინარიას ნაწილი იმ ფულებსა, რომელიც წარსულს 1893 წელში დანიშნული იყო სამეგრელოს საეკლესიო ხაზინისაგან თბილისის სემინარიის შესანახავად და რომელიც გადაწერილია, ვინაიდან ეს სემინარია 1893 წლის დეკემბრის 4 დაკეტილია. ქუთაისის სემინარიის სამუდამო შესანახავ წყაროდ სამეგრელოს სამღვდელოება სწინავს ეპარქიალურ სანთლის ქანხის წმიდა შემოსავალს და იმ ფულებს, რომელიც ყოველ წლებით იგზავნება სამეგრელოის საეკლესიო ხაზინიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში და იმ ფულებს, რომელიც ყოველ წლებით იგზავნება ამავე სემინარიის შესანახავად თითოეული ეკლესიის შემოსავლიდან რა მანეთადე.

გურიის სამღვდელოების დეპუტატებმა განაცხადეს:

გურიის სამღვდელოებას თავისი უკიდურესი სიღარიბისა გამო შეუძლია მხოლოდ შესწირვს ქუთაისის სემინარიის შესანახავად ერთ დროებითად თითოეული კრებულის თავზე 2 მ. 50 კ. და ამ შეწირულებას იგი მიაშობებს, რაც სამღვდელოებას დაენიშნება აღთქმული ჯამაგირი; ამასთანავე გურიის სამღვდელოებას შესამდებლად მიანიჭა ქუთაისის სემინარიის შესანახავად დანიშნოს კიდევ 2 მ. 50 კ. თითოეული შტატის ეკლესიის შემოსავლიდან; ქუთაისის სემინარიის სამუდამო შესანახავ წყაროდ გურიის სამღვდელოება ნიშნავს წმიდა სანთლის მოგებას და იმ რა-რა მანეთს, რომელიც თითოეული შტატის ეკლესიის მოგებიდან იგზავნება თბილისის სემინარიის შესანახავად. პეტო შემწეობის აღმონება ქუთაისის სასულიერო სემინარიისთვის გურიის სამღვდელოებას არ შეუძლია შემდეგ მიზეზთა გამო: 1) რზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ოქტავის სამღვდელოება, სადაც მხოლოდ 100 შტატია, ცდილობს ყოველ წლებით 5000 მანეთი შეჭრობას, რომ ამ ფულებისაგან ისეთი თანხა შეადგინოს, რომელიც შეიძლება იყოს ოთხ-კლასიანი სასწავლებლის, შენობის აგება, მეორედ გურიის ღარიბ სამღვდელოებას თავისი ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შესანახავად ყოველ წლებით შეაქვს 15,000 მანეთი თავისი საკუთრებიდან.

საუურადღებო იყო განცხადება ლენსუმის სამღვდელოების ერთი დეპუტატის მღვდლის ალექსანდრე გერსამიასი. მან განაცხადა:

ის უჭახაბა და უსამართლობა, რაც ლენსუმის სამღვდელოებას ეპარქიას, არ გვეჭრის, რომ ვისმეს დაემართოს. როდესაც ჩვენი ლენსუმის მარხა იმერეთის ეპარქიას ეკუთვნოდა, ჩვენს სამღვდელოებას გადვილებული ჰქონდა შეიღების აღზრდა. დღეს კი ამ მხრით უკიდურეს მდგომარეობაში ვართ ჩაცვიული. ლენსუმის სამღვდელოება მიგვაწერეს სამეგრელოს ეპარქიას, ამასთვის ყოველივე კარდასახადს გავსდევინებენ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შესანახავად. წამოიღვიეთ, რომ ლენსუმის სამღვდელოებას მარტო ერთი ბუშევი ჰყავს ამ სასწავლებელში და დანარჩენი სწავლებენ ძველებურად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ვინდით ფულებს და ამავე დროს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თითო ბუშეზე შეგვაქვს 40 მანეთი. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი შეიღები სენაკის ჰუას ვერ იტანენ და მასთან სენაკში არც ისე სხადვილო არის ბუშის შენახვა, როგორც ქუთაისში. ჩვენ გვთხოვენ სამეგრელოს სასწავლებლის სახლის ასაშენებლად ფულებს, მაგრამ ვინთვის უნდა ავაშენოთ სახლი, როდესაც ლენსუმის სამღვდელოებისა ერთი ბუშევი არ სწავლობს ამ სასწავლებელში? ვეველ ამას დაუმატოთ ჩვენი სამღვდელოების განსაკუთრებითი ღარიბი მდგომარეობა და თქვენ კარგად მიხვდებით, თუ რა გაჭირვებას ითმენს ლენსუმის სამღვდელოება. ფულებს ახდევინებენ სასწავლებლისთვის და შეიღების იმ სასწავლებელში შეუვანა კი შეუძლებელია!.

ვეველ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების ოქტავის სამღვდელოების მოსახრებისა და განცხადების თანახმად შესდგა ქურნალი და კრება მეორე დღის დილის ცხრა საათისათვის გადაიდგა.

მეორე დღეს, კრების გახსნისთანავე, თავმჯდომარემ წაიკითხა წინადადება სემინარიის ინსპექტორის მამა დიმიტრისა, რომელიც ითხოვდა, რომ კრებას აღმოეჩინა სე-



მინარის სამმართველოსათვის წევრები სამღვდელოების მხრით წევრების აღწერვამაც გამოიწვია ცოტა უთანხმოება კრებაში, რადგან სამეგრელოს სამღვდელოება ცალკე თხოვლობდა ერთი წევრის აღწერვას, მაგრამ ეს მოუსწრებელი შეიქმნა. ინსპექტორი თხოვლობდა, რომ წევრებად აღეწიათ ქალაქშივე მცხოვრები მღვდელნი და სემინარიის წესდებაც ამას თხოვლობს. დასასხელეს ოთხი პირი წევრის კანდიდატებათ, რომელთაც კენჭი უნდა ჩამოტარებოდათ. კანდიდატებათ დასასხელეს დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი, დეკანოზი ი. ჭეიშვილი, ბლალჩინები ნ. უბანიშვილი და ე. კანდელაკი. სამეგრელოს სამღვდელოების ნამეტანმა ნაწილმა განაცხადა, რომ დეკ. გ. ცაგარეიშვილი ერთი ხმით უოფილიყო აღწეული და სხვებზე კი კენჭის უნა მომხდარიყო. ამასვე თავმჯდომარემ მოასწენა დეპუტატებს:

მამანო დეპუტატო! კანონი თხოვლობს, რომ როდესაც ვისმეს კენჭით იწვევენ რომელიმე თანამდებობაზე, უთუოდ პირველად ამ პირს უნდა დაეკითხონ, სურს, მსაკეპტას უნა თუ არა. რადგან დეკ. ცაგარეიშვილი აქ არ იმეოფება, მასზედ კენჭის უნა არ შეიძლება, თუ თვითონ არ დანახმდა. ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა პირებას შესახებ, რომელნიც აქ არ არიან.

დასრულა თუ არა თავმჯდომარემ სიტყვა, ერთბაშად ისეთი ხმაურობა შექნა სამეგრელოს სამღვდელოებად და ისეთი დაჯინებით თხოვლობდა ცაგარეიშვილის დაუსწრებლად კენჭის ურას, რომ კრებაზე გაკონება აღარ იყო. როგორც იქნა ჩამოვარდა სიჩუმე. თავმჯდომარემ მიმართა კიდევ დეპუტატებს: ბატონო! ასეუბრალოდ დროს რად გვარკავთ. მე მოგახსენებ, რომ არ არას რიგი და კანონი კენჭი უნაროთ ვისმეს რომელიმე თანამდებობაზე, თუ კენჭის

საყველი პირი ამასვე თანხმობას არ განაცხადებს. კარგი, დაგთანხმებით თქვენ. ვსთქვათ, ავიწიეთ კარგი, შევადგინეთ ჟურნალი და წავკადით. მხსდა, რომ არჩეულმა პირმა არ ისურვა ის თანამდებობა, რომელზედაც ავიწიეთ. მაშინ როგორ იქნება საქმე? ხელახლად უნდა დაგვიბარონ?.. ამასთან პირველი თქვენი თხოვნა ამდენ კანდიდატებში ერთის უკენკოთ არჩევა არ ეთანხმება კანონს. თუ სამზედ კენჭის უნა იქნა, მეოთხეზედაც კენჭი უნდა იქნეს ჩამოტარებული. დასრულა თუ არა ეს სიტყვები თავმჯდომარემ, შეიქნა კიდევ ერთი ხმაურობა. ისმოდა მარტო: კენჭი, კენჭი, კენჭი! მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მომხდარიყო კენჭის ურა. უარეს კენჭი და დადგინეს ჟურნალი. უმეტესი აღწევითი კენჭი სხვა კანდიდატებთან შედარებით ხვდა დეკ. ცაგარეიშვილს. მაგრამ მ. ცაგარეიშვილმა უარი განაცხადა ამ თანამდებობის მიღებაზე და ამიტომ წევრის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქმნენ ე. კანდელაკი და ნ. უბანიშვილი.

შემდეგ წევრების აღწევისა წაკითხულ იქმნა მეორე წინადადება სემინარიის ინსპექტორის, რომელიც ითხოვდა ათას ას მანეთს სამღვდელოებისაგან, შედამხედველისა და გალობის მასწავლებლის ჯამაგირისათვის და სხვა წვრილ ხარჯთათვის. სამღვდელოებამ ამ ხარჯის დასაფარავად მიუთითა მათგან შენაწირ ფულებზე სემინარიისათვის ამავკრების ჟურნალის დადგენილობით.

კრებაზე რამდენიმე დეპუტატმა აღძრა კითხვა სანთლის წარმოების საქმის გაუმჯობესობის შესახებ. სანგრძლივი ბასის შემდეგ გარდაწვიტეს, რომ სანთლის წარმოების საქმის შესახებ ანგარიშები შედგეს უოველ წლობით და იბეჭდებოდეს ჟურნალებში, მით ნამეტურ, რომ „საქართველოს მხარე-

ბელში“ ამის დასაბუქდავად ფული არავის დაეხარჯება და საქმეს თუ არგებს. თორემ არ აზნებსო.

აღიძრა კითხვა შესახებ გუვლანის დაბუქდისა, ამ საგნის შესახებ, შექმდე სანგრიძლივი მოლანაზარეებისა, დაადგინეს: ეთხოვოს ადგილობით ეპარქიების მთავრობათა მოახდინონ ჯეროვანი განკარგულება გუვლანის სრული თვეის დაბუქდვის შესახებ, რომ ეს წიგნი, ვიდრემდის მისი ხელნაწერებია, დაიბუქდოს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

პეტერბურში. უმაღლესი მანიფესტი: წყალობითა ღმრთისა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხ., და სხ., და სხ., ეტყნადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა: ყოველად შემძლებელთა ღებრთა იწება მიუწოდებელის განგებითა თვისთა შეეწყვიტა ძირფასი სტოცხლე დიდად საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა; მძიმე ანეულება ვერ დასძლია ვერც წამლობამა და ვერც ყირიმის მარგებელმა ჰავამ, 20 ოქტომბერს იგი კარდაიცვალა ლივადიაში მისის იმპერატორების უდიდესი უნებლობის ხელმწიფე იმპერატორისა და ჩვენს ხელზედ, ოდეს მთელი მისი სახლობაც გარს ეხვია, ჩვენი მწუხარება სიტყვით არ გამოითქმის, მაგრამ ამას ყოველი რუსის გული მიხვდება, და გვრწამს, რომ ჩვენს ვრცელსა და დიდს სახელმწიფოში ისეთი ადგილი არ იქნება, სადაც მღუღარე ცრემლი არ იღვრებოდეს ხელმწიფისათვის, რომელმანც უდროვოდ განისვენა საუკუნოდ და დასტოვა სამშობლო მიწა, ზიწა, რომელიც სრულის გულით უყვარდა, რამდენათაც-კი შეუძლიან რუსის გულს სიყვარული, რომლის კეთილ-დღეობასაც სწირავდა ყოველს თავისი გულის ზრახვას და არ დაუშურავს არც ჯან-მრთელობა თვისი, არც სიცოცხლე; და არა თუ მართო რუსეთში, არამედ იმა საზღვარის უშუალოდ ადგილებშიაც არასოდეს არ მოიშლიან პატივისცემასა და არ დაივიწყებენ იმ

მეფეს, რომელმაც განახორციელა შეურყვევლი იმართლე და მშვიდობიანობა ყოველად დაურღვეველი იმისის მეფობის განმავლობაში. აღსრულდესცა, წმინდა სურვილი უზენაესისა, განგვამტკიცოსცა შეურყვეველმა რწმენამ ციურ განგების ყოველად სპრინსამ, გვანუგეშოსცა იმ ამბავმა, რომ მწუხარება ჩვენი, საერთო მწუხარებაა მთელის ჩვენის საყვარელის ვრისა. ნუ დაივიწყებს იგი, რომ ძლიერება და სიმტკიცე წმიდა რუსეთისა მღკამარეობა ჩვენთან ერთობაში და ჩვენდამო ერთგულებაში. ჩვენ კი ამ სამწუხარო, ხოლო დიდებულსა საათსა რუსეთის იმპერიისა, და მასთან განუყოფელ პოლონელთა სამეფოსა და ფინლიანდის სამთავროს ჩვენთა მამა-პაპათა ტანტზედ აღვსლისას გვაგონდება ანდერძი განსვენებულია მშობლის ჩვენისა და, განვიმსჯვალენით რა ამა ანდერძით, წაიდა ალექსანდა ვსდებთ ყოველად უზენაესისა წინაშე ყოველთვია საგნად გვექანდეს მშვიდობით წარმატება, ძლიერება და დიდება ძვირფასის რუსეთისა და ბედნიერება ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა. ყოველად შემძლებელი ღმერთიმც დაგვეხმარება, ღმერთი, რომელმა მოგვიწოდა ჩვენ ამა დიდსა სამსახურისათვის. აღვავლენთ რა მხურვალე ლოცვასა ყოველად მპრობელისა ტრაპეზისა წინაშე, რათა მან მოანიჭოს განსვენება წმინდასა სულსა და უეწყარის ჩვენის მშობლისას, ეუბძანებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომთა დასდონ ფიცა ერთგულებისა ჩვენისა და მეუკვიღრეა ჩვენისათვის, მისის იმპერატორების უმაღლესობისა დიდის მთავრისა გიორგი ალექსანდრეს ძისა, რომელიც უნდა იყოს და იწოდების მემკვიდრე ცესარევიჩად იმ დრომდე, ვიდრე იწებებს უფალო და მოგვანიტებს ვაჟაშვილსა მოპავალს ჩვენსა და ჰესენდარაშტატელის პრინცესა ალისას ქორწინებაში. ბოძებულია ლივადიაში ქრისტეს შობიდან ათას რგას-ოთხმარცადა თოთხმეტაწელსა, ხოლო მეუბიდან ჩვენისა პირველსა, ოცსა ოქტომბერსა“. ნაშვალს მისის იმპერატორების უდიდესი უნებლობის საყუთარის ხელით აწერი, ნიკოლოზ“...

23 ოქტომბერი

პეტერბურში. უმაღლესი მანიფესტი 21 ოქტომბერს: «დღეს უმაღლესად სახელ-წოდებულსასა-ძლოსა ჩვენსა წმიდა მირონი სცხეს. ეწოდა რა სახელად ალექსანდრა, იგი შეიქმნა ჩვენის მართლმადიდებელ ეკლესიის მხვეალა ჩვენისა და მთელის რუსეთის სანუგეშოდ ამ მწუხარების დროს, რომე-

ლიც მოგვივლინა უზენაესმა მიუწოდებელისა განგებითა თვისითა. გვწამს ჩვენს ერთან ერთად, რომ სულმა საყვარელისა მშობლასა ჩვენისაშუაგულსა სოფელსა ბუფანა, აკურთხა მისისა და ჩვენი სურვილთა ამორჩეული, რათა მოაწმუნე და მოსიყვარულე გულთა გაკვირვებულს განუწყვეტელი ზრუნვა ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობასა და ბედნიერებისათვის. ყველა ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ლოცვითა თვითა შემოუერთებენ ვედრებასა ჩვენსა. წარმოგზავნისმცა უფალა კურთხევასა თვისსა ჩვენსა და ნებითა მისითა ჩვენდამა რწმუნებულ ერის ბედსა ხელსა. ვაფუყებთ, რა ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა ამა სასურველს ავბავს, ვფრჩხნებთ, უმაღლესად სახელ-წოდებულთი სასძლო ჩვენი, მისი უმაღლესობა პრინციპს ასული აღისა მოიხსენიონ ხოლოვე უყეთილ-მარწმუნესს დიდ მთავრინა აღექსანდრა თვედარეს ასულად იმერატარებითა უმაღლესობის ხარისხით“.

20 ოქტომბერს

ლიპადია. დღე, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევს 2 საათსა და 15 წუთს ლიპადია სასახლეში ღვთის მიერ განისვენა ხელმწიფე იმერატორმა აღექსანდრე ქესამემ. სასახლეზედ სამეფო ბიარალი ჩაიშვებულა იყო; განსმა ზარბაზნებას სრულა და მოხიფებნი განუსაზღვრელს მუშხარებას მიეცენ. მისმა იმერატორებითა უდიდებულესობამ დილით წმიდა საიდუმლო მიიღო პროტოპრესვიტერის იანიშვილიაგან. უკანასკნელ წუთამდე ხელმწიფე იმერატორი სრულ კონებაზედ იყო. ხელმწიფე იმერატორიცა არ მომორგბია უავგუსტოესს მეუღლეს. ხელმწიფე იმერატორს განსვენების დროს გარეცხია მთელი მისი სახლობა. გვამს გამოეჩინა რენ უავგუსტოესნი მკვირნი და ნათესაენი, უმაღლესის კარს მოხელენი, ამაღლა და სასახლის მოსამაახურენი.

მეტუთე საათზედ სასახლის ეკლესიის სახლოვეს, მოედანზედ, ხელმწიფე იმერატორს ერთგულთა მგჰვიცეს. დაფიცა სასახლის პროტოპრესვიტორმა იანიშვილმა სამღვდლოებას თანამღვთის-მსახურებით. პირველად დაფიცეს დიდმა მთავრებმა, შემდეგ სასახლის კარის მოხელეთ, ამაღამ, კარს მოსამსახურეთ, ლიპადიაში მყოფმა ჯარმა, სასახლის პოლიციამ და მისას უდიდებულესობის საკუთარ მხლებლთ («კანელი»).

სიბუჯა,

თქველი ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის პერმონაზონის მ. დიმიტრის მიერ 18 სექტემბერს, ქუთაისში სემინარიის დაარსების გამო გამართულ აქტზე.

თქვენო უოვლად უსამღვდელოესობანო და მოწყალენო ხელმწიფენო!

დღეის დღე შესანიშნავია როგორც ქუთაისისათვის, ისე მთელი დასავლეთის საქართველოისათვის. დღეს ქ. ქუთაისში არსდება სასულიერო სემინარია, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ ახლად დაარსებული სასწავლებლის უმთავრეს დანიშნულებასა და მიზნას შესახებ. უმთავრესი და უპირველესი მიზანი ამ ახლად დაარსებული სასულიერო სემინარიისა, როგორც ყოველივე სხვა სასწავლებლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სასწავლებელმა მოამზადოს მართლმორწმუნე, განათლებული და გულმოდგინე მწყემსნი, ქრისტეს ეკლესიისათვის, ხოლო ტახტისა და სამშობლოათვის პატიოსანნი მოღვაწენი. გულმოდგინე და განათლებული მწყემსნი, უეჭველად, საჭირონი არიან რუსეთის ვრცელი სახელმწიფოს ყველა კუთხეებში; მაგრამ ეკლესიის ამისთანა მწყემსნი მომეუბებულად საჭირონი არიან საქართველოში. როგორც აღმოსავლეთის საქართველო, ისე დასავლეთის ძველის დროიდანვე განთქმულია თავისი მართლ-მადიდებლობით. აწინდელი ქართველების წინაპარნი მთელი საუკუნოების განმავლობაში დიდის მეცადინეობით იფარავდნენ წმ. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას ურწმუნოთაგან, რომელნიც ყოველის მხრით ესივნენ საქართველოს; მთელი საუკუნოების განმავლობაში ეს წინაპარნი თავის სისხლს ანთხევდნენ სარწმუნოების დასაცავად. დიდის სისხლის ღვრით მათ დაიცვეს და გადასცეს თავიანთ მვილებს ეს უძვირფასესი საუნჯე—წმ. მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. დღეს, დვთის მადლით, გარეშე მტრები აღარ აწუხებენ საქართ-

ველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიას. მაგრამ მას ემუქრებიან შინაურნი მტერნი, რომელნიც უფრო საშიშარნი არიან. ასეთები არიან სხვა-და-სხვა მწვალებელი, რომლებიც მრავლდებიან დასავლეთ ევროპაში და რუსეთში. ეს მწვალებელი მოხერხებულ ნიადაგს ვოლგობენ თავიანთი სწავლა-მოძღვრების გასავრცელებლად გაუნათლებელს ხალხში. თუ საქართველო დღემდის დაცულია ამ მწვალებლებისაგან, რომელნიც ცხვრის ტყავში გახვეული დაიარებიან ხალხში, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შემდეგ დროშიაც ეს მხარე დაფარული იქნება მათი ზედ გავლენისაგან. თუ განათლებული მწუემსნი არ უხელომძვანელებენ ხალხს სარწმუნოების საქმეში, არ მიაჩვევენ თავიანთ სამწესოთ კეთილ ცხოვრებას, არ აღმოფხვრენ ხალხში სხვა-და-სხვა ამაო-მორწმუნეობას, მაშინ ეს ქრისტეს ეკლესიის მტერნი ადვილად მოაშორებენ ხალხს მართლ-მადიდებელ ეკლესიას და დააყენებენ მორწმუნეთ წარწყმედის და დადუჰვის გზაზე.

აი ამისათვის საჭირო შეიქნა დასავლეთ საქართველოში სასულიერო სემინარიის დაარსება, რომელმაც უნდა მოეპოვადოს ხალხს გულმოდგინე მწუემსნი ეკლესიისანი, რომ მათ უხელომძვანელონ ხალხს სარწმუნოების საქმეში და ქრისტიანულს ცხოვრებაში.

შეიძლება სთქვან: აქაურს მხარეში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ეკლესიის მწუემსნი. ეს მართალია, მაგრამ კიდევ როგორი მწუემსნი არიან აქ საჭირონი? ამ კითხვაზე სხვა და სხვა პასუხის მიცემა შეიძლება; ჩვეულებრივად უმეტესობა ასე ფიქრობს: უმაწვილები შედიან სასწავლებლებში იმისათვის, რომ მათ შეიძინონ საჭირო უფლებანი და, შემდეგ სწავლის დასრულებისა, კაი ადგილები იშოვონ და თავისი ქვეყნიური ცხოვრებაც რიგინად მოაწყონ. ამ მოსაზრების მიხედვით სასულიერო სემინარიის მოწაფეც ენდა ეცადოს, რომ კარგად დაასრულოს სემინარიის კურსი, რომ მიიღოს კარგი ადგილი მღვდელობისა და ნივთიერად უზრუნველ ყოფილი იქმნეს. ასეთია საზოგადო ტიპი სამსახურის და ნივთიერი საშუალების მაძებარი მღვდლისა, რომელიც თავის ხარისხს

მიჩინებია ისე, როგორც წყაროს, საიდგანაც შეიძლება მოიპოვოს ნივთიერი საშუალებანი, რომ ამ ქვეყნად ბედნიერად იცხოვროს. ამისთანა მღვდლები—მწუემსნი, როგორც სადმართო წერილი მოწმობს, ძველ აღთქმაშიაც იყვნენ. მაგრამ თვით დღევანთი სასტიკად აზნილებს ისეთ მწუემსთ, რომელნიც თავის ხარისხს უცქერაან როგორც შემოსავლის წყაროს, რომ რაც შეილება უკეთესად იცხოვრონ ამ ქვეყნაზე და სრულებით არ ფიქრობენ თავიანთ სამწესოთა კეთილ-დღეობაზე. აი რას ეუბნება უფალი წინასწარმეტყველის ეზეკიის პირით დაუდევარ მწუემსთ: *ჰაი მწუემსნო ისრაელისნო, ნუ ამოკებნა მწუემსნი თავთა თვისთა, ან ცხოვრთა ამოკებნა მწუემსნი? აჰა რძესა შესკვით და მსტულთა შეიძოსთ და შახილთა დაჰქლეკთ, ცხოვრთა ჩემთა ან ამოკებთ... ამისთვის მწუემსთა ისმინეთ სიტყვა უფლისა: ცხოველ კარ მე, რტვის ადონი უფალი, აჰა მე მწუემსთა ზედა და გამოკვიანე ცხოვრნა ჩემნი ხელთაგან მათთა და დაჯცდნე ივინი ანა მწუემსდა ცხოვრთა ჩემთა და ანა მწუემსდნენ მათ მეკმე მწუემსნი და გამოკვისსე ცხოვრნა ჩემნი მცრისაგან მათისა და ანა მეკმე, იუენენ მათდა შესკველ (34, 3—10).* რასაკვირვებლია, სანატრელი არ იქნება, რომ ამ ახლად დაარსებულ სემინარიადამ გამოვიდნენ ისეთი მწუემსნი, რომელთაც თვით დღევანდის ხარისხით რქვას: *აჰა მე მწუემსთა ზედა!*

რა თვისებით უნდა იქმნენ აღჭურვილნი ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწუემსნი?

ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწუემსის თვისებანი შეიძლება გავსინჯოთ სამის მხრით 1) შესახებ ღვთისა, 2) შესახებ თავის თავისა და 3) შესახებ მოყვასთა.

შესახებ ღვთისა ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტმა მწუემსმა ისეთი ერთგულება უნდა გამოიჩინოს, რომ თავისი თავი, თითქმის, სრულებით უნდა დაივიწყოს. ე. ი. ჭეშმარიტი მწუემსი მთლად უნდა მიენდოს ღვთის ნებას,



უნდა ცხოვრებდეს არა თავისი თავისათვის, არამედ ღვთისათვის, უნდა აკეთოს ის, რაც ნებას ღმერთსა და შეიყვაროს ის, რაც უყვარს ღმერთსა: ასეთი ერთგულებით მიენდოა ღვთის ნებას, სხვათა შორის, მოციქული პავლე, რომელიც თავის თავზე ამბობს: გსტხოველ ანტონა მე ვარ, ანამედ ტხოველ ანს ჩემთანა ქრისტი.

თავის შესახებ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი სარკე უნდა იქმნეს თავის სამწყსოისათვის, მან უნდა უჩვენოს ყველას მაგალითი სიმკაცრეობისა, ზომიერობისა და მოთმინებობისა. წმ. მოციქული პავლე ტიმოთესადმი პირველს ეპისტოლეში ვრცელად სწერს, თუ რა თვისებით უნდა იქმნეს აღჭურვილი ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი: ჟერ ანს კბისკობისისა, ამბობს იგი, რათა უბრუნდეს იუმს, თქთსილ, წმიდა, შეპყულ, სტუმბრთ-მთუგარე, სწავლულს. ანს მეღვინე, ანს ანგარ, ანს სამაგელის შეშმანებელ, ანამედ მუდარე, უღალკველ, გეცხლის უგარკველ, თვისისა სხლისა კეთილად განმკებელ, შეიღნმტა უსსენ დამოწმებულნი უოკლითა დაწსებითა (ა. ტიმოთ. III, 2—4).

თავის მოყვასთადმი ისეთი სიყვარული უნდა გამოიჩინოს ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტმა მწყემსმა, რომ იგი მედამ მზად იუმს თავის თავი შესწიროს სამწყსოის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. კეთილი მწყემსი, სიტყვისაებრ მაცხოვრისა, თავისსულს დასდებს ცხოვართათვის. წმ. მოციქული პავლე მზად იუმ, რომ ეს შესაძლებელი უოფილიუმ, უარ ეუმ თავის საუკუნო ცხოვრება, ოდონდ კი მის თანამოძმეთ, (ურებიხ) მიედოთ ასეთი ცხოვრება. ჭეშმარიტი მწყემსი თავის ცხოვრებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ თავის მოყვასთა ცხოვრებაზე. უოველივე მხიარულება და უბედურება, დირსებანი და ნაკუთუღვანებანი სამწყსოთა იმდენად უნდა ამხიარულებდეს და

აწუხებდეს მწყემსს, რამდენათაც თავისი საკუთარი. ერთი სიტყვით მწყემსი ვალდებული არის თავიანთ სამწყსოთ დახმარება და შემწობა აღმოუჩინონ უოველივე საჭიროების დროს. ძველი აღბქმის იუდეელების მწყემსნი იმიტომ უარ ჰუმ ღმერთმა, რომ სიტყვისაებრ წინასწარ. «იეზეკიასი, დავრდომილი არ განაძლიერეს და სნეულნი არ განკურნეს, გზა დაგარკულნი არ დააყენეს ჭეშმარიტების გზაზე და წარწყმედულნი არ მოიძიეთ». (34, 4).

ასეთი უნდა იუმს საზოგადოდ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი.

ამასახლამე, ამ ანლად დაარსებულ სასულიერო სემინარიას ადევს დიდი და ძნელი მოვალეობა—მომზადება ჭეშმარიტ მწყემსთა, რომელთაც შეურცხვენლად იმოქმედონ ქრისტეს უნაში და შესაფერად ჰქადაგებდენ ქრისტეს მცნებას.

თუ ეს თავის დიდი მოვალეობა შესრულა ამ ანლად დაარსებულმა სემინარიამ, ამით, უეჭველად, იგი დიდს სამსახურს გაუწევს არამარტო ქრისტეს ეკლესიას: არამედ სახელმწიფოსაც. კანონიერი მიმდინარეობა და წინსვლა სახელმწიფოისა და სამოქალაქო ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხში მადლა სდვას ზნეობა, რომელიც მადლდება ქრისტეს ეკლესიაში ჭეშმარიტ მწყემსთა ხელმძღვანელობით. აქედამ ცხადია, თუ პირველი საუკუნის ქრისტიანები რათ იყვნენ ისეთი საუკეთესო კეთილ-მორწმუნე რომის სახელმწიფოისა! იმათ კარგად ესმოდათ მოციქულის სიტყვა: რამელი იგი აჩიან ხელმწიფებანი, დმრთისა მიერ განწყსებულ აჩიან. რამელი ადგობდეს ხელმწიფობასა, დმრთისა ბმანებასა ადგობს. (რომაელ. 13, 1, 2).

ვინ წაიღო კვარტი უფლისა და ღვთისმშობლის
ხატი ოდიგოტრი მცხეთის საკრებულო ტაძრიდან
და ან ვინ მიიტანა ისინი რუსეთში?

1622 წელში სპარსეთის შაჰ აბასმა დაიპყრო საქარ-
თველი, ღვთის ტაძრები დაანგრია და ადარხა,
წმიდა ხატები შეუკრძავეს და გააქურკეს, ხოლო ზოგი
ხატები და მათ შორის უფლის კვარტი მოიტაცეს
ურწმუნოებმა და გასასუიდად სპარსეთში გაგზავნეს. რაღა
შაჰიმ გაიმარჯვა და სპარსეთში დაბრუნდა, უფლის
კვარტი, ძვირფას კიდობანში ჩადებული, სახუჭად
გაუგზავნა რუსეთის მეფეს მისივე თეოდორეს ძეს,
25 მარტს 1625 წელს. დღეს ეს კვარტი უფლისა
იწეება მოსკოვის მიძინების ტაძარში, სადაც, ნეულებ-
რავად, გვირგვინსდებან რუსეთის მეფენი. ამ სახით
სხვა მრავალ მოტაცებულ საღმრთო ნივთებთან ერთად
გაგზავნილ იქნა სპარსეთში სასწაულოთ მომქმედი საქარ-
თველს ხატი ღვთისმშობლისა.

ამ დროს საეკლესიო საქმეებისა გამო სპარსეთში
დადიოდნენ რუსის ვაჭრები, რომელნიც დიდს საიმე-
ნებით ყიდულობდნენ სპარსელებისაგან საქართველოდ-
მოტაცებულ საღმრთო ნივთებს. ერთ რუსს ირასლა-
ველი ვაჭრის ეგორ ლიტვინის ნაქარს სტეფანე ლაზარ-
კეს ერთმა სპარსელმა მიუტანა ღვთისმშობლის ხატი
ოდიგოტრი, რომელიც მოკრთული იყო ოქროთი და
ვერცხლით, ვინადაც სპარსელებმა იცოდნენ, რომ
რუსები დადს ხატისა სტეფანე წმიდა ხატებს. კეთილ
შეწყობენ სტეფანემ დიდს სიხარულით იყიდა ეს
წმიდა ხატი. რაღა სპარსეთში სტეფანემ ეს წმიდა ხატი
იყიდა იარსლავეში ვაჭარმა ლიტვინმა შემდეგი სიზმარი
ნახა: « შენმა მოუჩაგმა სტეფანემ, რომელიც ესა სპარ-
სეთში იმყოფება, გიყიდა შენ დაუფასებელი ბასკრი
და რაღა იგი მოგიტანს მასს, შენ გაგზავნეს ძვირ-
ფასი ბასკრი ღვინის სამთავროში, შავს მთაზე. ამ
სიზმრის ნახვის შემდეგ ლიტვინი წავიდა რეველისთვის
მოსკოვის პატრიარქ ივანაკრეტთან. მგონი მალე შეიტ-

ყვეს, რაშია იყო საქმე. მალე სპარსეთიდან დაბ-
რუნდა სტეფანე ლაზარკე და ჩაბარა თავის აღას
ღვთისმშობლის წმ. ხატი, რომელიც მან იყიდა
სპარსეთში. ეგორ ლიტვინმა დიდს სიხარულით მიიღო
ეს «ძვირფასი ბასკრი» წმიდა ხატი და მამნევე უწმი-
დესი პატრიარქის ნება-რთვით და რწევით გაემგზავრა
სიზმარში სასწაულებრივი სახით ნახვებზე ადგილს, და
თავისი ხელთ, 22 აგვისტოს 1629 წელს, სასწაულოთ
მომქმედი საქართველს ხატი ღვთისმშობლისა მიიტანა
შავი მთის, შემდეგ წითელ მთად წოდებულს, მონასტერ-
ში, რომელიც ამჟამად იქნა 1603 წ. მღვდლის
მირონის მიერ ღვთისმშობლის განსაკუთრებითი გამო-
ცხადებით. ამ მონასტერში ამ ღვთისმშობლის სასწაულო
მომქმედი ხატის მისვენების დღე დიდ დღესასწაულად
დაინიშნა; ეს დღესასწაული მიღებულია მართლმადიდებელი
ეკლესიისაგან და 1650 წლიდან ეს ღვთისმშობლის
ხატი სხვა ადგილობით ხატებ შორის ირიცხება. მის
შემდეგ, რაღა ნოვგოროდის მიტროპოლიტმა ნიკონმა,
შემდეგ სრულიად რუსეთის პატრიარქმა, მოწმის
სასწაულები, რომელიც მოხდა ამ სასწაულო-მომქმედი
ღვთისმშობლის ხატის მეხსებით, ამგვარ პატრიარქმა
დაპტვიდა ამ ხატის სადავებლად დღესასწაულება და
ამის შესახებ სიგელიც გამოსცა, რომელიც დაწე-
რიდა მოსკოვის ნოვგოროდის პოდვორიეში ქვეყნის
შექმნიდამ 7158 წელს თებერვლის 8 დღესა.

თუ რა სახით მასვენეს წითელ მთის მონასტერ-
ში საქართველს წმიდა ხატი, ეს კარგადა სწინს იმ
აწერილობისაგან, რომელიც მოთავსებულია ვაჭრის
ეგორ ლიტვინის წერილში:

„1629 წელს, აგვისტოს 22 დღესა უკვლად
წმიდა ღვთისმშობელმა დასვენა ტაძარში ხატი უკვლად
ოდიგოტრისა, რომელიც ზღვის იქედგან, სპარსეთის
ქვეყნიდამ იქნა მოტანილ. მხატვრობა ბერძნულია,
მთელი ხატი გამოქანდაკებული ვერცხლით არის დაფა-
რული, გვირგვინები, შუა ადგილი და აჩვიები
მთლად მოქცვილია; ამ ხატს დადებული აქვს ღვინის
მოქცვილი ტილო, მთელი ხატის მოჭედილობა

ღირს თათხმეტი შანეთი. ხატი სიკრძით 10 და სი-
სიგანით 7 გოჯია.

ყოვლად სამღვდელთა ათანასემ, ხელმეგობრის და
ვაჟისკის ბიჭველმა მთავარ-ეპისკოპოსსმა, თავისი მოს-
კოვში მყოფობის დროს, საეკლესიო საქმეებისა გამო,
1697 წელში, შეუკვეთა ამ სასწაულთ-მოქმედი ხატი-
სათვის კერძის მოჭედება, რომელიცა იმავე წელ-

ხატის სახე დაათვალიერა, ნახა, რომ ეს სასწაულთ-
მოქმედი საქმეველს ხატი ძველი დროის მხატვრობა
იყო. დასატულია თითბრის განაყით სქელს მუხის
ფიგურაზე, შუაზე ამოჭრილია, ნაზირები გამოწეული
აქვს; ქვემო ბოლოს შუაზე წინა ზირზე ამოტკრეულია
ის ნაწილი, რომელზედაც გამოხატულია ფეხი შემდგომისა.
ზემოთ წაწერილებულია, თვითონ ფიგურა განე-
თქილია თავამდე უჩრდონო სპარსელებისაგან, რომელთაც



სახე იმ ლეთისმშობლის ხატისა, რომელიც სპარსელებმა
წაიღეს მცხეთიდან.

ში გააკეთა რქო-მჭედელმა ვასილი კლიუგინმა; ეს მო-
ჭედილობა ღირს 48 მ. 15 კ. როცა ყოვლად სამღვდელთა
მოსკოვიდამ დაბრუნდა, ახალი მოჭედილობა თავის
ხელით გაუკეთა ხატს ჟვარის ეკლესიაში 21 მარტს
1698 წელს, რწმანათს, დიდი მარხვის მესამე დღეს.
ამასთანავე ყოვლად სამღვდელთა ათანასემ, როცა ამ

აღბათ ან შუბი და ან რამე იარაღი დაატეეს ამ ხატს.
ანაგინ უწყის, ვინ ან როდის მიაწება და შეაკეთა ეს
ხატი; მხოლოდ ამხნეგია, რომ ის დასატული ყოფილა
მთელს ფიგურაზე, და როცა განეთქილა, შემდეგ გაუ-
მაკრებიან, ხოლო ამოტკნილი ადგილი ამოკნილია იმავე
სახით და შეკეთებულია მხატვრობით. ამავე დროს

ყოფილად სამეფო-სახელმწიფო თანხაზე თავისი ხელით გასწავლდა მტკიცისაგან დაბრუნებული ნაპირები შეაკეთა და, როგორც ვერცხლის მოჭედლობა გაამაგრა, მეორე ტექნიკური ხატისა დაფარა ჩქარობით. *)

ამ სახით მოტანილ იქმნა საქართველოდამწითელი მთის მონასტრში ქრისტიანობის პირველი საუკუნის წმიდა ხატი, რომლის შესახებთ ხსენებულს მონასტრის მკვლევანს განსაკუთრებით მადლი შეცდომური დედოფლისაგან. უკვლავ ის სასწაულები და გამაგრებანი, რომელიცა ამ წმიდა ხატისგან მოხდა, საწმენო თავს მდებარეობისა, რომ ამ ხატს უყვარს და იფარავს მართლმადიდებელთ. და მართლაც იმ დროიდან, რაც ამ მონასტრში მოსვენებულ იქმნა წმ. ხატი საქართველოს ღვთისმშობლისა, ამ ადგილის დიდება თან-და-თან ძლიერდება და წითელ-მთის მონასტრის სახელი გაითქვა მრავალი სასწაულებით. ამ სასწაულებ-მომქმედი ხატის მადლით განიკურნენ მრავალი სნეულნი, რომელნიც უკურნებელი სენით იყვნენ შეპყრობილნი და ამ მოკვლენას დიდი ზედ გაუკენა აქვს მოწმუნეთა გონებისა და გულსა. ეს სასწაულები გაითქვა მთელს რუსეთში, ამის გამო ამ მონასტრში საღვთისმშობლის მიმსჯელ პირთა რიცხვი იმატა და ამით მონასტრის ნივთიერად გაუმჯობესდა.

იარსებასა ვაჭარმა ეგონა ლიტინმა, რომელიც დიხსი გახდა ღვთაებრივი გამაგრებლისა, რომლის ძალით საქართველოდამ წითელს-მთის მონასტრში მოტანილ იქმნა წმ. ხატი ღვთისმშობლისა, დიდი ამაგი დასდგა ხსენებულს მონასტრს. ამ ვაჭარს დიდი საწმენოება აქვდა ამ წმიდა ხატისა, და ამიტომ მან ამ მთაზე ააგრა უფრო კარგი ტაძარი, გაამშვენა იგი და მოუხარა შესაფერი მონათულობა და წიგნები.

დიდიდან წითელ-მთის მონასტრში საქართველოს წმ. ხატის მოსვენებისა, ხსენებულმა მონასტრმა დიდი

შენიშვნა: დღეს საქართველოს ღვთისმშობლის ხატს გაკეთებული აქვს ჩქაროს მოჭედლობა, რომელიც გაუკეთებიათ 1860 წ. და რომელიც დიხს 3,600 მან. გრადს სხვა მონათულობას.

სახელი და მნიშვნელობა მოიხარა მთელ მართლმადიდებელ რუსეთში. დასწრისში ეს სახელი მარტო დინის სამეფოებელში იყო გავრცელებული, შემდეგ ამ მონასტრის დიდება გაითქვა ყველგან და მათაი მეფის ტახტამდე. ალექსი მისაილის მის მეფობის დროს და მისივე ბრძანებით, რომელიც მიეცა მონასტრის წინამძღვარს 30 დეკემბერს 1653 წელს, ეს სასწაულები მოქმედი საქართველოს წმ. ხატი ღვთისმშობლისა წაღებულ იქმნა ციხიბრში ლენის დიდ მდინარეზე და რუსეთის შუა ქალაქებში: უსტიუგში, კალგადაში, ტოტმაში, იარსლავში, პეტროვსკში, ზალესკში და მოსკოვში. მოსკოვში წითელი-მთის მონასტრის წმ. ხატის უფროსი აღიბეჭდა შემდეგი სახით:

მოსკოველ ჩქარმჭედელს გაბრძოლ ეგდომოვს ჭყავდა ავად შვილი. ბუკრი ცდის შემდეგ სრულებით იმედი დაჭკარვა ექიმებსზე და მიენდო ღვთის მოწყობას და სასოებდა, რომ ღმერთი განკურნებდა მის შვილს. როგორც მან შეიტყო სასწაულებ-მომქმედი ღვთისმშობლის ხატის მოსვენება მოსკოვში წითელ-მთის მონასტრში, დიდი მარხვის პირველ კვირას თავისი შვიკრდი გაუტანა ბერ-მონაზონის მაგარას, რომელიცა ამ წმიდა ხატთან იმყოფებოდა, ბოგდნ შჩეპოტკინის სახლში და სთხოვა, რომ მას, მ. მაგარას, ის სასწაულებ-მომქმედი ხატი მიესვენებია ამ ჩქარმჭედლის სახლში და ზანკლისი გადახდა. მართლაც ტუუილი აჩ გამოდგა მისი იმედი: მისი საწმენოების და ლოცვის ძალით ავადმყოფი განიკურნა. იმ მოწყობებისათვის, რომელიცა ამ ხატმა მოკვლენა გაბრძოლ ეგდომოვის ავადმყოფი შვილს, მან აღთქმა დასდგა გადაეღო ნამდვილი სახე საქართველოს სასწაულებ-მომქმედი ღვთისმშობლის ხატისგან და ეს აღთქმა მისგან მაშინვე იქმნა აღსრულებული.

ამ ღვთისმშობლის ხატისაგან გადაღებული სახე დასვენებულ იქმნა ნეკლინის ტაძარში. დღესაც ასვენია ეს ხატი მოსკოვის წმ. სამების ტაძარში ზანკარსკის ტიშკრის მახლობლად, და ჭყურნებს მათ, რომელიცა მის საწმენოებით და სასოებით შეკვადრებან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ჩინებაზე.

ქადაგება მდაბიოთა ხალხთა მიმართ, თქმული სეკტემბრის თვეში 1795 წ. ამბროსი ნეკრესელის მიერ აღამაჰმადხანის შემოსევის დროს საქართველოში.

აღმოგვხვრნე თქვენ ქვეყანისაგან რომელი მიგვც თქვენ, და სახლი ესე, რომელიცა წმიდაი გუგ სახელისა ჩემისა, განვაგდო პირისაგან ჩემისა, და მივსტე იგი იგავად, და ამბავად ყოველთა წარმართთა“ მეორესა შინა ნაშთისა, თავსა, 7, და რიცხვსა, 19.

ღეთის-მოყვარებით შემოკრებულნო ქრისტეს ერნო, ღე ცოდვითა ჩვენთაგან ქართლსა ღე კახეთში ესოდენს ჟამსა, ღე, ახლა უფრო კიდევ ნამეტანად, უსჯულოთა ღე ქრისტეს მგომობელთა მტერთაგან დამდაბლებულნო, ღე მუდამ აოხრებისა და წარტყენისათვის შეშინებულნო! რაც დღეს ესოდენი, დაწვა, აოხრება და დატყვეება მოგვევლინა, ხომ ჩვენსავე თვალთ მოგ-ნახეთ ეგოდენი საცოდაობა; მაგრამ ზოგნი არცარად კი ვაგდებთ, და ახლა, კიდევ რას განსაცდელს მოველით ღეთის საშინელის გულის-წყრომისათვის, დიად ყური დაგვივლია, და ეს არ ვიცით, რა მიზეზი არის? მრავალთა და ბევრთ თქვენში ვიცით, ამისი გამოცდილება გაქვსთ, რომე კაცი სიხარულსა თუ მწუხარებას რომ შემოიციდის, ან მეცნიერება არის და ან უმცირება; ან სიმართლით იქმს და ან ზაკით, და ვერაგობით. ახლა ამას, ღეთის-მოყვარენო, თუ სიმართლით ვიქმთ, სიმართლის მეგობარი ხომ წმიდაჲ ლოცვა არის და ღეთის-მსახური გონება არის და ცოდვებზედ ხელის აღება. ესინი არიან სიმართლის მეგობარნი და ამავების მომქმედი მიენლობა ღმერთსა, და ღმერთიც განუმარჯევებს ჭეშმარიტად, ვითარცა წმიდა მოციქული დასწერს, ვითარმედ «ღეთის მოყვარეთა ყოველივე განემარჯვებისო» და თუ ვერაგობა და ზაკვა არის, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ღმერთთან ამისთანაებს ვერას გავაწყობთ, დიად სწრაფი და მოკლე დღე აქვს ამისთანას გრძნეულებასა. სან-

თელსა გავს, საყვარელნო, ამისთანა მტყვევი კაცი-ასე ჰგონია, რომ ყველას უნათებო, მაგრამ საწყალობელი უწინ თავის თავს დასწავს; ეს კარგად უნდა იცოდეს. მეტე ესეც უნდა იცოდეს კაცმა, რომ ღმერთი ჩვენგან არც გამოიცილება და არც მოიკიცნება; მაგრამ ღმერთი კი გამოსცდის კაცსა. ვითარცა წმიდანი მამანი იტყვიან: და მრავალნიც გამოიცილენ მიზეზისა რასათვისმე.

ეს არ იცით, საყვარელნო რომე ცა რომ მოღრუბლავს, მგელიც მაშინ ასტყდება, და ნისლიანს დღეში დაუწყებს ცხოვარს დევანას? ნისლი ასე გავსინჯოთ, რომე ღეთის წყრომა არის, და მგელი, ჩვენზედ მოწვენული მტერი არის ხილული და უხილავი, და ჩვენიცოდვა არის ჭეშმარიტად და ჩვენი გონების დაბნელება ღეთის წყრომას მოუღრუბლავს ჩვენზედა, და ჩვენმა ცოდვამ ასე თვალები დაგვანუჭინა და გონებაც დაგვიბნელა, რომ ამისთანას ჩვენზედ მოწვენულს ღეთის წყრომას ყურს აღარას უვდებთ, და ზოგნი კიდევ ვიცინით. და განასცხრებით „ჩვენ ხომ არა აგვტენია რაო, რას დავეძებო, ვისაც რა უნდა დავმართოსო?“ ვაი, ვაი, ქრისტეანობავ, სადა ხარ, ამისთანას თქმაზე ღეთის-კულის წყრომისა რისხვით და საშინელებით აღმძრველო?! ვაი რა ცოდვა დათესილ არს ჩვენში! და ვაი რა უგულის-ხმობის შავსა და ბნელს ღრუბელს დაუბნელებია ჩვენი გონება! გვესმის წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან, რაოდენნი და რა საშინელნი მხილებანი და ბძანებანი? და თვით წმიდაჲ სახარება, რას თვითოსა და თვითოს სანხილებელის საყვირით ჩაგვძახის, გვალვიძებს და ვერ გაგვიღვიძნია? და ახლა თვით საშინელი ღმერთი ძლიერი საბაოთ, დიდი ღმერთი ზეცილამ გვემუქარება სოლომონ ყოვლად განბრძნობალის პირითა, რომ თუ ჩემს ბძანებასა და სიტყვას არ დაიმარხავთო, მაგას არ ვაკმარებო, მაგ თქვენის სამკვიდროსაგანაც სრულიად აღმოგუხრნეო, მაგ თქვენის ადგილისაგანაც სრულიად დაგკარგავო, ჩემის პირისაგანაც გავაგდებო და მაგ თქვენს მოუქცევლობას ყოველთა წარმართთა შორის იგავად და ამბად გავსთქვათო!» ჰოი საშინელო ღმერთო ცისა და ქვეყნისა ზღვისა და ხმელის დამბადებელო! ღმერთი, ნეტარ ასე გულიწყრომით რაზედ განგარისხეთ და განგამწარეთ, რომ ამ შესაძრწუნებელის ბძანებით გვემუქარები?! ერთი კაცი რომ ერთს საშინელს აღელოვებულსა და აღდუ-



ლებულს ზღვაში, ერთს მცირეს ნაეში იჯდეს, მენავეც გასკლოდეს, ნიჩაფიც ხელიდამ გავარდნოდეს და თვითან მარტო შეშინებული აჰქონდეს და დაჰქონდეს იმ საშინელის ზღვის ღელვასა, და მიახლიდეს და მოახლიდეს, მწარედ თავ განწირული და დასანთქმელად განმზადებული არ იქნება ის საწყალობელი? საშინელი ზღვის ღელვა ხომ ღვთის საშინელი გულის წყრომა არის! მცირე ნაეი ხომ, მწარედ მუდამ მტრისაგან შეწუხებული, ჩვენი ქვეყანა არის; კაცნი მუდამ მწუხარებით აღესილნი და საწყალობელნი ხომ, ჩვენი ვართ, მენავე ხომ ჩვენი სასოება ღვთისმშობელი არის; ნიჩაფი და საჭე ხომ ლოცვა და ღვთის ვედრება არის! ვართ შემწყვედელნი, საყვარელნი, ამ ერთს მცირეს ნაეში, მცირესა და ცოტას ადგილში! ესოდენი ხანია, იმ ჩვენს დიდა ამ ჩვენის ბატონების მამა პაპათ მეფეებს აქეთ, მუდამ შეწუხებულნი ღვთის გულის წყრომისაგან ვიდგლებით. ზოგნი ს-ლარიბითა და ქვივ ოხრობით სიმშლიისა და წყურვილისათვის ფიციით, ზოგნი უწყალოსა და შეუბრალებელის მწარის სიკვდილისაგან ობლად დარჩომისა და უდრო უქამოდ გამოსალებასა ესტირთ და ზოგნი უსჯულოს ჩვენის ქვეყნის მტრებისაგან მუდამ და ყოველს წელიწადს, ისე მწარედ განმწარებულნი თავსა და პირში ვიცემთ! და კიდევ, ზოგნი ასეც მოუძღურდით, რომ მართლა ღარც ლოცვისა და ღვთის ვედრებისაკენ ვართ. ერთიც მოგვაკლდენ, სიცოცხლევ მოგვაკლდა, სიკვდილმაც მალა გვიყო, ცოდვაც მოგვერია, და ხელი ვეღარ ავალეთ, ჭეშმარიტად. სასოება ეს არის, წარკვეთილი გვაქვს, რომ ყველანი, ამას ვცნესით; ნეტარ რა ვქნათ და რა გვეშველება! და რამელსაც ვიქადით და ვსასოებთ, რომ საქართველოს ერნიო, ღვთისმშობლის კერძნი და წილ-ხლომილნი ვართო, თვით ღვთისმშობლისაგან დაქადებულნი ვართ «იმით მე მოვაქცეო, ყოველს ქვეყანაზედ საქართველოსა და იმის ერს უმეტესად აღემაღლებო;» მაგრამ ვაი ჩემდა, ვაი, ახლა ყველასაგან უფრო დამდაბლდა, ყველასაგან უფრო დაეცა, ყოველს ქვეყანაზედ სახელ განთქმული ქართლი და კახეთი და იმისი ერი ახლა ყველასაგან უმეტესად და უფრო და უფრო დაეცა, დაიხარა და დამცირდა! რამდენჯერაც მუხლი მოგვითრევი და შევხეწნივით, და კვნესით და ცრემლით შეგვიტირნია ღვთისმშობლისათვისა, ამასაც თავისის დედობრივის მოწყალებით მოუხედავს და შეუბრა-

ლებივართ. ჩვენი კვნესა და ტირილი გაუგონია — თავისი მოწყალე გული დიდა მალე გამოუბრუნებია ჩვენზედა, მაგრამ ახლა ვეღარც ამისი მოწყალე გული მოვიგეთ, რომ ჩვენში ერთი თავისი მოსაწონებელი კეთილი რამ დაენახა. თუ არ ცოდვა, თუ არ სიბილწე, თუ არ ურჩება და ამპარტანება; თუ არ შური და მტეობა; თუ არ ღვთის და ბატონის ბძანების გაუგონებლობა და შეუსმენელობა; თუ არ უმოწყალობა და სიხარბე და ანგარება; თუ არ უსამართლოება და საბრალოსა და შეწუხებულის განუკითხველობა. და შეუბრალებლობა; თუ არ წარვისა და ლოცვისა, და ეკლესიისა და მოძღვრის უყვარულობა; თუ არ ერთპანეთას ჯაბრითა და ზაკით მოქცევა, რომ ჭეშმარიტად ჩვენი პირი სხვას ამოხს, და გული სხვას ზაკვასა ზრახავს. და სიმართლე დაკარგულა უფროსდა ჩვენში, და ამისთანა და კიდევ უარესი ცოდვებიც ლადადებს ჭეშმარიტად! ცოდვა განმრავლებულარს, ცოდვამ გაგვაოხრა, და ჩვენს ქვეყანასაც ჩვენი ცოდვა აქვს, არღვევს და ამდაბლებს ჭეშმარიტად! ამა რომელი ქვეყანა გინახავს და გავიგონიათ სიმართლისაგანა და მადლისაგან დაცემული და დამდაბლებული! არც ერთი და არა სადა ჭეშმარიტად, თუ არ ცოდვითა და სიბოროტით აოხრებული და დაცემული! ჯვარამცა აქვს და კურთხევა ჩვენს სანატრელს მეფეს! თითქმის ჩვენი ცოდვა, ჭეშმარიტად მრავალ-ჯერ ამის კეთილ-მსახურებასაც შეაწუხებს ხოლმე, საქმეს გაუმრუდებს და უმარჯოდ მოუქცევს. ამით რომ, რომელთაც საიდუმლოს შეკრებით ამათის უმაღლესობის ღვთის მოყვარე ხმა გსმენიათ. დიდა სიმდაბლით და განკვირებთ მრავალ-ჯერ უბრძანებია „ჭეშმარიტად განკვირებულ ვარო, თუ არ-ჩემი ცოდვაო თორემ რისაგან არის! ვისიც მოყვარობა მოვიწოდო, მტრად გარდამექცაო; თუ გასამარჯვებელს გზახედ დავდგო და იმედი დავიდგო სწორედ დაჯერებთ ეს არის გამემარჯვებო, იქ დამიპარცდება და გავთვადებო?! ეს რა ჩემის ცოდვისა და ჩვენის ქვეყნის უბედურობა არის, გავკვირებულვარო“. ახლა ესენი გასინჯეთ, ღვთის-მოყვარენო, ამასი კეთილ-მსახურება, რომ თავისს ცოდვას, აბრალებს! ამის მეფობას ხომ დავით მეფესავით ეს უსჯობს, და კიდევაც ასე ბძანოს და ღმერთიც მიხედავს ჭეშმარიტად; მაგრამ ღმერთმან დაიფაროს, ცოდვილიც რომ იყოს, ჩვენ ასეთი სულნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ



ასეთი საწმადე და ლოცვა უნდა გვქონდეს, აქვნი სულას ღვთისა მიმართა ვედრებაჲა ამისა მეფობაც უნდა დაიფაროს, ყოველსავე შინა კეთილად განემარჯვოს და ჩვენს თავსა და ჩვენს ქვეყანასაც ემეფლოს, ჩვენ ამისთანა ლოცვა და ვედრება უნდა შეგვეძლოს. მაგრამ ვაიმე თუ ამისთანა წმიდა და მართალი ლოცვა არ იყავს ჩვენმა? ვაი ჩემდა თუ იმ უსჯულოთა და უღმრთოთ, და ქრისტეს მტერთ, ჩვენი ამისთანა უსასოება ათამამებდეს და აკადნიკრებდეს? თორემ ისინი ჩვენ რატომ უნდა გვქმლავრობდნენ! ისინი ჩვენზედ რატომ უნდა კადნიერებდნენ და გვერეოდნენ? ჩვენ იესუს მონანი, ჩვენ ჯვარ-ცმულის უცდავი სისხლთ სყადუღნი, ჩვენ ჯვარ-ცმულის იოსებუ მგლოაკარის მარიაჲს ღვთის დედის წილხდამიღნი შვილნი! ვაიმე, ვაიმე, ჰოიჲ! ჩვენთვის ჯვარზედ განშავლებულს იესოს ესოდენს წყლულებას, ესოდენს ვნებულებას, მოწყალეების კარი ჩვენთვის რად დაუხშავს? რად დაუხშავს ჩვენ ტოდვილთა მონათაგან? ეკოდენს იესოს სატანჯველს ეკოდენს ყკრმლის ცემას. ეკოდენს წმიდას პარზედ ცემას, ეკოდენს მიწაზედ უწყალოდ თრევის, ეკლას გვირგვინის დაღმას, წმიდასა და სუფთას გვამზედ და დაწყლულებულსა და ნაგვემა მხარზედ ჯვარის ტეროტკას. მერმე ჯვარზედ დასქვალკასა და ხელასა და ფერხის დაწყლულებასა და გვერდას განღებასა და ჯვარიდამ ჯვარცმულის, მშვიდას იესოს სამს საათს სისხლას გარდმ აღინებას, აჰაჲს ამ ვნებაებს ჩვენთვის მოწყალეების კარი რად დაუხშავს?! ახლა ესენი დაუტეოთ და სხვათა წმიდათათვის ღიტიკოდეთ, რომ ეკოდენთ წმიდათ წინასტარმეტყველთა, წმიდათ მოცკეულთა, წმიდათ დაღთა მღვდელმომძღვართა, წმიდათ ქალწულთა დედათა წმიდათ მოწამეთა ქრისტესთვის წამებულთა. ქრისტესთვის და ყოვლისა სამოლისა სამეოხოდ სისხლთ-დათხეულთ, ეკოდენი სასწაულნი და ეკოდენი საკვარველებები, წეტარ რას დაუდუმებია? არა უწყი, რას დაუხშავს? არა უწყი. ხომ ყოველნივე ჩვენთვის მეხებენ, ხომ ყოველნივე ქრისტეს წინაშე ჩვენთვის ლატანიობენ და ვედრებასა შესწირვენ; და ვლას შეეწვევან ჩვენისთანას ცოდვილსა, და როდისღა გვიშველიან, და საღლა დაგვანებლებენ ამისთანასა და ასეთს შეწუხებულსა?! თვით ყოვლად წმინდამან დედამ ღვთისამან, როდესაც თავის წილხდომილად გამოი-

რჩია საქართველო. და ეშმაკთ მონებისა, და კრპთ-მსახურებისაგან გამოიხსნა, თუმცა ოდესმე წარმართნი და უსჯულონიცა ჰყოლობდნენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ კეთილმსახურნი და ღიღნი მეფენიც მრავალნი მეფობდნენ, ღვთისმსახურებით ხელმწიფებდნენ და განაგებდნენ საქართველოსა. დიდებული ზელმწიფე დიდი ვახტანგ პირველი, დიდებული დიდა მეფე თამარ, დიდებული მეფე ბრწყინვალე-გიორგი, დიდებული წმინდაჲ მეფე დავით აღმაშენებელი, და სხვანიც სანატრელნი მეფენი მრავალნი. ამა ღვთის-მსახურთა მეფეთა აქენდათ ძლიერება უძლეველი, სიმალე გარდამატებული, სიმდიდრე აღურაკცხველი ერნი და ქვეყანანი სიმდიდრითა, სიყფითა, და ყოველის კეთილითა აღსაგენი. ახლა ესენი რა იქნა, საყვარელნი?! ისინიც ხომემ ჩვენის ბატონებისა. თავიანთ შვილებისათვის იღვწოდნენ, და მტერს ამდაბლებენ, და ამათ სამკვიდროდ ტახტსა და ქვეყანას უმკვიდრებდნენ? და ახლა, ამათს გარდა ხომ ჩვენს მამა პაპათ დროს ქრისტესთვის ახლად სისხლდათხეული დიდებული დიდი მოწამე დედოფალი, ქეთევან, ქრისტესთვის რა საშინელის სატანჯველებით წამებული უღმრთოთა უწყალოთაგან? ისიც ხომ ამათი დიდად ახლო დედა და ბებია იყო, და იჰვე წამებასა და სატანჯველებშიაც ხომ ეს თავისნი კეთილ-მორწმუნენი შვილნი ახსოვდა, იკონებდა და ამათთვის ვევედრებოდა ღმერთს? და რამ დადუმა იმისი წმიდაჲ და მართალი ლოცვა. და ქრისტესთვის ეკოდენი იმისი სატანჯველი, რატომ მეფეს ერეკლეს არ შეეწვევა, და ამათს მტრებს არ დასცემს, და არ დაამდაბლებს?! საქართველოს შვილნი, ვიტიროთ, ვიგლოეთ, და ჩვენს უბადრუტს ცხოვრებასა და სიცოცხლეს ვაბრალოთ და ვაყვედროთ!!!


ახლა ესენიც რომ დაუტეოთ და უფრო ახლო მეფე, და უფრო მართალი ზელმწიფე ჩვენს დროსა და სიცოცხლეში, ჩვენგან მონებით ნამსახური, სანატრელი მეფე თეიმურაზ კენესით და ცრემლით მოვიხსენოთ. აბა მივიდეთ იმისის ბრწყინვალის მეფობის ერთგულებით ნამსახურნი შვილნი, და იმისი მართალი მეფობა განვაცადოთ, რა მშვიდი, რა მართალი, რა მორწმუნე, რა ტკბილი, რა რა ღვთის-მოყვარე! ვაი ვაი, ვაი, რა ვსთქვა? რა მერმე ბოლოს საქართველოსათვის როგორ თავ დადებული, უცხოს ქვეყანას უცხოს მწირობაში,

უცხოებაში მიცვალებული? ჩვენ მისთა მონათაგან დაჯტირალი, ჩვენგან ცრემლ დაუყრელი, გამოუსალ-მებელი, იმისის ტკბილისა და ბრწყინვალის ხმას გაუგონარი! ვაი ჩვენ, ვაი! იმისი მართალი მეფობა, იმისი ცრემლი და ქრისტეს წინაშე ვედრება მაინც რალამ დადუმბა, რამ მირიდა, და რამ უკუაბრუნა, საყვარელნო! ხომ ესენი ყველას ჭეშმარიტებით გახსოვს, რაც მოგახსენე? იმ დიდებულს ადგილს მიცვალების ეამს, ღვთის-მშობლის ხატი სადმე მიასვენებინა და შესტირა, დილ წმიდასა, და მართლის ცრემლითა, რომ მე ხომ გამოვესალმე ეს არის იმ ქვეყანასო, იმათის სიყვარულისათვის თავი დაე-სდგო; რომ ეს დიდებული ხელმწიფე შეეწიოს, და მტერი დაუმდაბლოს: მაგრამ ახლა ჩემს სულსაც გავედრებო და ჩემი ერეკლეც შენთვის მომიბარებიაო! იმ საქართველოს ერს შენი წილ-ხლომილობა გაუა-ხლო და ჩემი შეილი, და ის ქვეყანა გამოიხსენო იმდენის შეწუხებისაგანაო! ჰოოოი, მართალო მეფის თემურაზის ცრემლო, და ჩვენის ქვეყნის მტერთ შეწუხებისაგან გამოხსნისათვის ვედრებაე! ახლა ამასაც დაუტყეებ, და ახლა ჩვენ სამღვდელოდ დასთა, ერთობით წმიდას საკურთხეველსა და ტრაპე-ზს წინაშე ქრისტეს მემსხვერპლეთ, შემწირველთ, მლოცველთ და მვედრებელთ თავსა და პირში ცემით ვივალალებ, და ვიტირებ; და ვიჩივლებ, რომელნიც ემოძღვრებთ და ეიქადით ცოდვათა მიტყეებასა, შენდობასა, კურნებასა სნეულთა სიპრთელესა, ეშმა-კთა განსხმასა, და ხილულთა და უხილავთა მტერთა განდევნასა! აბა ესენი სადარის, ვისთანარის, ვისგან არის, და როდისლა იქნება, და როდისლა უნდა შეგვეწიოს, თუ არ ამისთანას შეწუხების დროს, თუ არ ამისთანა და ასრე მტერთაგან გათავების ეამსა?! აბა ახლა ჩვენის თავის გამართლების სიტყვა აღარა გვაქვს-რა, საყვარელნო! აღვდგეთ ყველანი და წმიდათ ეკლესიათა, და წმიდათ ხატთა და ჯე-ართა ყველამ მუხლი მოუთრიოთ, და თავი მიწაზედ დაესდვათ! ახლა კი აღარა გვაქვს-რა სიტყვა, ახლა ველარათი გავიმართლებთ თავსა! წმიდანო ხატნო! წმიდანო ჯვარნო! წმიდანო ნაწილნო! წმიდანო ეკლესიანო! დიდებულნო მთავარ-მოწამენო გიორგი! სადახარ, ძლიერო მხედარო? საქართველოში ხომ სასწაულით შენ ხმა განსმენილი მხედარი ხარ, და ხნეულთ-მკურნალი, და მრავალთ-ტყვეთა მხსნელი, და სად არის თუ გვიშველი რასმე, ქრისტეს მხედარო

გიორგი! წმიდაო დიდებულო, მერკვირი, შენც ხომ ქრისტეს მტრის უსჯულოს იელიანეს მომკვლელი, მხედარი ხარ, შენც დიდის ვასილის ვედრებაზედ კესარიის კაბალუკის გამომხსნელი ხარ, ის უსჯულო რომ ექალადა, გამოვიელი და ესოდენტ ქრისტიანთ შეემუსრაო, არ კი შენ შემუსრე ის უსჯულო და ევოდენნი ქრისტიანნი გამოიხსენ, და აბა სადარის, თუ გვიშველი რასმე, დიდებულო მხედარო? აი ახალი იელიანე, შენს მოსაგეს ქრისტიანებს თავს გვიქნევს. შენს წმიდას სახესაც ემუქარება, ეკლესიე-ბსაც ემუქარება, რაც კიდევ დამრჩა, მივალო და სრულად აღმოვფხვრიო, დავაქცეო, დავარღვეო, ქრისტიანობას საქართველოში სულ ავხოცო, ბატონებს წავართმეო, თავადებს დაუმდაბლებო, ცოლსა და შეილებს დაუტყევებო, მამასა და შეილს განეაშორებო, დასა და ძმას განმოვასაღმებო, ევოდენს ქვრივსა და ობოლს ავატირებო, იმათს მღვდლესსა და ეპისკოპოსთ ხმალს ქვეშ მოვსრაო. ვაი, ვაი! გვიღონეთ რამე, წმიდანო, გვიშველეთ რამ დიდ-ბულნო! განრივიციე, ღვთის-მშობელო მარიამ; მო-ვალთ შენთან, შენს წმიდას ხატს მუხლს მოუთრევეთ, თავს ესე მიწაზედ დაეხლით, პირს ესრე მიწაზედ მოეაძრევეთ, ამდენს შემოეტარებთ, აამდენ დავი-კნესებთ, აამდენს დავიბლავლებთ, რომ გვიშველო რამ, და ჩვენს სანატრელს მეფესა, დაჩვენს ჯარს შეეწიო და შეგვიწყალო! თვით ჩვენივე სყინილისი გვამხილებს, რომ ცოდვილნი ვართ, და ჩვენც ამას გვედრებთ, რომ, დღეს ჩვენს ევოდენს შევოდებას ნულარ მოიგონებ, ჩვენის ცოდვის პასუხს ნუ გვიხამ შენის მეოხებისათვის, შენის დედობრივისა მოწყა-ლებისათვის, შენის საყვარელის ძის იესოს სიყვარუ-ლისათვის! მტირალი დედა, მგლოვარე დედა ჯვარკმულს იესოს რომ შეჰკენსოდი, იმისის უ-დავის სისხლის სიყვარულისათვის, შენის ტკბილის ცრემლის მეოხებისათვის, ამდენის ხატთა და ეკ-ლესიათ მეოხებისათვის, მე ხომ ერთი ცოდვილი მიწა და მტერი და ეპისკოპოსობის უღირსი მწყემსი ვარ, მაგრამ ამდენი ვერი რომ გვედრება, მე რა ვიცი ღვთის დედაე? სამღვდელონი შემოგტირიან, მოხუცებულნი და ყრმანი შემოგკენსიან, ქვრივნი და ობოლნი გვედრებიან, გული ჩვენი ესრეთ მტკინეულ-არს, სული ჩვენი ესრეთ დაჰმუნვილ-არს, სიცოცხლისა ჩვენისა ფურცელი და მოცივინებულ-არს, სიხარულისა ჩვენისი სარო მოკვეთილ არს,

ქვეყანისა ჩვენისა შენიერება, და კეთილ-
 ნაყოფიერება დაქვრივობილ-არს; სიძალადე და ძლიერება
 ჩვენი დამდაბლებულ-არს, სიგლახაკითა და უძლუ-
 რებითა ჩვენითა მეფენი უსჯულთნი და უწყალთნი
 აღძრულ-არიან ჩვენ ზედა, და ბოროტნი მთავარნი
 და მხედარნი მათნი ერსა შენსა ზედა ასაოხრებულად
 შეთქმულან; ხმობენ და გვექადან უღმთარნი იგი
 პირნი მათნი «სად არაო ღმერთი იგი მათი? მოვე-
 დითო და დავამდაბლნეთო ყოველნი დღესასწაულნი
 მათნი, მოვედით და დავადუმნეთო ყოველნი
 სავედრებელნი ხვანი მათნი, მოვედითო და შევმუ-
 რათ, და დავსცეთო ყოველნი დადებანი მათნი;
 მოვედითო და დავაძვინეთო, და სრულად აღვიხე-
 ნეთო ქრისტეანობა მათი? მოვედით და აღვიხე-
 ნეთო ყოველნი სიწმიდენი მათნი! იგინი ესრეთ გვექადან,
 უწყალთნი იგი, იგინი ესრეთ გვეძლავრებენ უსჯუ-
 ლთნი იგი, და ჩვენ შეშინებულნი, და შეძრწუნე-
 ბულნი გლახაკ და დავარდობილ-ვართ სიძალადეთა
 ჩვენითა! იგინი ესრეთ უწყალად კადნიერ ქვნილან
 ერსა ამას შენსა ზედა, და სული და გული ჩვენი
 შეშფოთებულ-არს, და ხელი და ფერხ ჩვენი
 აღთროლებულ-არს, და თვალნი და სასმენელნი
 ჩვენი დამსლბარ-არს, და ნაკად ნაკადთა ცრემლთა
 გამოადინებენ; და თვინიერ შენსა არაიენ არს შემეშ
 და ნუგეშინის-მცემელ ჩვენდა, «და არა არს
 ნუგეშინის-ცემა საღმობასა სიონისასა. არა ზედავა,
 რამეთუ სიწმიდე ჩვენი მოაზრებულ-აქმნა. არა
 განიცდით ღეთის-მშობელი, რამეთუ საკურთხეველი
 ჩვენი, და ტაძარნი ჩვენი აღხოცალ და დარღვეულ
 იქმნა? არა გესმისა, რამეთუ ფსალმუნნი ჩვენი, და
 გალობანი ჩვენი დაყენებულ და დაღუპელ-აქმნა?
 არა ღმობიერ ხარ, რამეთუ სიხარული ჩვენი
 შემუსვრილ არს, და სანთელი გულისა ჩვენისა
 დაშრეტილ-არს? არა ტკივნეულ-ხარ, რამეთუ კილო-
 ბანი აღთქმისა ჩვენისა წარტაცებულ-არს, და წმიდანი
 ჩვენი შევიწებულ-იქმნენ. არა გელოვისა, რამეთუ
 შევიწები ჩვენი ყვედრებასა მოითმენენ, და მამანი,
 ჩვენ ვითარცა სანთელნი მბღვინვარენი, დავშრე-
 ტილ-ვართ! არა გეწყალვითა, რამეთუ ერნი შენი,
 კბაუენი და ქალწულნი ყრმათათნა ტყვეობასა
 მიეცნენ და დედანთა ჩვენთათვის, ვითარცა რახელისა
 საგოდებელნი ხმანი, ვიღრე ცათამდე აღწეულ არიან?
 ვაი ჩვენდა, ვაი ჩვენდა რომელ ლოცვა და ვერება
 ჩვენი, საყვედრელად ჩვენდა და ცოდვად შერაცხილ-

არს! სრუცისა-ებრ დავითისა «და არა არს ღმობა
 ხარცთა და ძალთა ჩვენთა, თვინიერ მოწყალეობისა
 შენისა, და ღმერთ-მამაკაცისა ძისა შენისა». ამისთვის,
 მოგვხედენ, დედოფალო ღეთის-მშობელი, მოწყა-
 ლებითა შენითა, და შეისმინე ხვა ერისა ამის შენისა,
 შეიწრებულისა, და მოეც ძლევა მეფესა ჩვენსა
 ირაკლის, და შეეწიე, და შენის მხლოდ-შობილის
 ძის ძალი მიაშველე იმის მხედრობასა! უბანე
 დიდებულსა დიდსა და ძლიერსა მხედართ-მთავრსა
 ზეცისასა მიხაილს, რომ მიეშველას ჩვენს სანატრელსა
 მეფესა და იმის მხედრობასა, და იმათი მტერი და
 მებრძოლი დასცეს და შემუსროს, ვითარცა მარსა
 ბანაკი იგი ძლიერი ძალი ასურასტანელთა მათ!
 ეგრეთვე მიუღლინე რისხვა შენი, ჩვენზედ ასაოხ-
 რებლად აღძრულთა მათ უსჯულოთა მტრთა
 ჩვენთა განძარცვებულთა შენთა; უფალო, ძაგინე-
 ბელთა შენთა, უფალო, შეურაცხის-მყოფელთა
 შენთა, უფალო, დამარღვეველთა სახლის შენისათა:
 უფალო, შეძრწუნეველთა და არა წმიდათა ფერხითა
 მათითა დამართგუნველთა წმიდისა ხატისა და ჯვარისა
 შენისათა; უფალო, ნუ აუფლებ მათ ჩვენ ზედა!
 უფალო, გვაკმარე ესოდენი, და ამდენის ხნის
 ქართლისა და კახეთისა ესოდენი შეწუხება! ესოდენ
 აოხრება, ესოდენი ტყვეობა, ესოდენი საკვდლი,
 ესოდენი დაჩაგრვა და შერცხვენა მათ უსჯულოთა-
 გან! უფალო, ნუ ათქმევიებ მათ უსჯულოთა,
 ბილწთა პირთა მათთა «სადა არს ღმერთი იგი
 მათი, თუ უშველას რასმეო. უფალო, ნუ აქადებ
 ბილწთა მათხმათა მათთა, რომ ხმა მალღოდობიან,
 აი მახმადის ხელი ამაღლდაო, და ქრისტეანობა კი
 დამდაბლდაო! მართალია ჩვენის დაცემით ქრისტეა-
 ნობა კი არ დამდაბლდება, მაგრამ ჩვენც ერთი
 მკირენი მონანი ვართ შენნი, თაყვანის-მცემელნი,
 შენნი მორწმუნენი ვართ, და ნუ გავწირავ შენის
 მოწყალეობისათვის; ნუ მიძველებ ჩვენ სრულიად სახელისა
 შენისათვის წმიდისა, ჩვენ ერის სიხარულის ხვით
 გვათქმევიენ, რომ ვიქადოდეთ და ვიტყოდეთ: ჩვენთანა
 არს ღმერთი, ჩვენთანა არს ღმერთი, სცანთ წარმათთა და
 იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი! ჩვენც ერთი
 სიხარულის ხმა გავგვაგონე და გვასმინე, რომ ჩვენს
 ჯარს გაუპარჯენიაო, და უსჯულონი მტრნი,
 დაცემულნი და დამდაბლებულნი, გაქცეულანო!
 შეისმინე ჩვენ ცოდვილთა ამათ ევდრება და ესე
 ვითარის მოწყალეობით მოგვხედენ, რათა მადლობით
 და თაყვანის კემით ვადიდებდეთ სახელსა შენსა,
 აწ და საუკუნეთა, უკუნისამდე ამინ.





სახალხო საკითხავი მოთხოვნა დაბადებიდან

(ბიბლიიდან)

იოსებ მშენებელა.

(გაგრძელება *)

გავიდა ორი წელიწადი. მცლეინეს დააიწყდა იოსები. იოსები კი საპრობილეში იტანჯებოდა. ამ დროს ფარაონმა ნახა არა ჩვეულებრივი სიზმრები. მას მოესიზრა, ვითომც მდინარის პირად იღვას; მდინარეად გამოვიდა შვიდი ძლიერ მსუქანი ძროხა, რომლებმაც წყლის პირას ძოვნა იწყეს. მათ შემდეგ იმავე მდინარედან გამოვიდა შვიდი ძლიერ გამხდარი ძროხები და მსუქან ძროხებთან დაიწყეს ძოვნა. მალე

ვანი თაველი და მათ შემდეგ მეორე ძირიდან აღმოცენდა კიდევ შვიდი, მაგრამ ძლიერ ხმელი და უმარცვლო თაღლები. უმარცვლო თაღლებმა იქვე გადაჰყლაპეს კარგ მარცვლიანი თაღელები, მაგრამ ისევ უმარცვლონი დარჩნენ. ამ სიზმრებმა ძლიერ აღაშფოთა ფარაონი. დილით მან ბრძანა მოეწვიათ ბრძენნი და სიზმრის ამხსნელნი, რომელთაც უამბო ნახული სიზმრები. მაგრამ ვერაინ ვერ შესძლო ფარაონის სიზმრების ახსნა. მაშინ მცლეინეს მოაგონდა იოსები და მოახსენა მცფეს: მაზაღივე, ხელმწიფე! მე ახლა მომაგონდა ერთი ჩემი დამნაშაობა. როცა თქვენ მე და მეპურეს განგვირისხდით, ჩვენ საპრობილეში ჩაგვადგეს. ერთ დღეს იქ ორთავემ ვნახეთ სიზმარი. ჩვენთან ერთად საპრობილეში იმყოფებოდა ერთი ახალგაზდა ებრაელი. მან აგვიხსნა ჩვენი სიზმრების მნიშვნელობა და ყველა მისი ნათქვამი



გამხდარმა ძროხებმა გადაჰყლაპეს მსუქანი ძროხები, მაგრამ ამით ისინი არ გაუკეთესდნენ, ისევ გამხდრები დარჩნენ. ფარაონს გამოეღვიძა. შემდეგ ისევ დაიძინა და ხელახალი სიზმარი ნახა: ვითომც პურის ერთი ძირისაგან აღმოცენდა შვიდი კარგ-მარცვლო-

ნამდვილ ასრულდა. ფარაონმა იხილა იმ სათაშივე მოეყვანათ იოსები. მეფის მოსამსახურეებმა საჩქაროდ მოსძებნეს საპრობილეში იოსები, შეჰკვეცეს მას თმა, ჩააცვეს ახალი ტანისამოსი და წარუდგინეს მეფეს. ფარაონმა სთქვა: მე ვნახე სიზმარი, რომელიც ვერაინ ვერ ამიხსნა. ამბობენ, რომ შენ

*) იხ. «მწვემისი» № 18, 1894 წ.



გკოდნია სიზმრის კარგად ახსნა. შემდეგ ფარაონმა უამზო იოსებს თავისი სიზმრები. იოსებმა მოუსმინა ფარაონს და შემდეგ მოახსენა: ხელმწიფვე! ორივე სიზმარს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, შეიდი ძროხა და შეიდი თაველი ნიშნავს შეიდ წელიწადს. მსუქანი ძროხა და შეიდი მარცვლიანი თავლები ნიშნავენ ნაყოფიერს და მოსავლიან წლებს; შეიდი გამხდარი ძროხა და უმარცვლო თავლები მოასწავებენ შიმშილობას და უნაყოფო წლებს. აი დადგება კალეც ეგვიპტეში შეიდი მოსავლიანი წელიწადი. მას მკვეცება შეიდი უნაყოფო წელიწადი. შიმშილი ძლიერ სამძიმო და ხალხის მაზარალებელი იქნება და რომ შენ, მეფე, ერთი და იგივე სიზმარი ორჯერ ნახე, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთის ნება უსათუოდ ასრულდება ამ მოკლე დროში. ეხლა, მეფე, გამოიჩიე გონიერი და ბრძენი კაცი და დააყენე იგი მთელი ეგვიპტის უფროსად. მან დანიშნოს მთელ ეგვიპტეში ზედამხედველები და უბრძანოს შეკრიბონ მოსავლიანს წლებში მეხუთედი ნაწილი მთელი ეგვიპტის მოსავლისა. შეკრიბონ მათ პურა და გაუფრთხილდნენ მას; ამ შეკრებილი პურით უნდა ისაზრდოვოს ეგვიპტის მცხოვრებმა უმოუსავლო წლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი შიმშილით ამოიხრცებიან.

ყოველი ესე მოეწონა ფარაონს. მან უბრძანა თავის მოსამსახურებს: განა შეგვიძლია, მოენახოთ ჩვენ სხვა ვინმე პირი, უკეთესი იოსებზე? და აქვე რქვა იოსებს: რადგან ყველაფერი ეს შენ ღმერთმა გაუწყა, ამისთვის შენზე უფრო გონიერი და ბრძენი კაცი სხვა არაიენ უნდა იყოს. მე დაგაყენებ შენ მთელი ეგვიპტის და ჩემი სასახლის უფროსად; შენ სიტყვას ჩემი ხალხი არ გადაუხვევს; შენ და უნებურად ხელს არაიენ გაანძრევს და ფეხს ევრაიენ გადაადგამს, მხოლოდ მე მარტო ტახტით ვიქნები შენზე მაღლა. აქვე მეფემ წაიძრო ხელიდამ ბეჭედი და წამოაცვა ხელზედ იოსებსა, შემოსა იგი მდიდრულად, ჩაპოკიდა მას ოქროს ძეწკვი; შერთო მას ერთი დიდებული კარის კაცის ქალი და უბრძანა ეტარებინათ იგი სამეფო ეტლით და სპა-მაღლა გამოეცხადებინათ ყველასთვის, რომ იოსებისათვის თაყვანი ეცათ. იოსები ამ დროს ოც-და-ათი წლისა იყო.

ამის შემდეგ იოსებმა დაუყოვნებლივ შამოიარა მთელი ეგვიპტე, დააყენა ყველგან ზედამხედველები და

უბრძანა შეეგროვებინათ პური მოსავლიან წლებში. პური შექონდათ ქალაქებში, სადაც იგი ინახებოდა საკუთრად აგებულ ბეღლებში. შეიდი წლის განმავლობაში იოსებმა მოაგროვა მრავალი პური, ასე რომ ანგარიშსაც თავი დაანებეს, რადგან ანგარიში ველარ შესძლეს.

როგორც იოსებმა წინასწარ სთქვა, გავიდა შეიდი მოსავლიანი წელიწადი; დადგა შეიდი უმოსავლო წელიწადი, ჩამოვარდა საშინელი შიმშილობა არა მარტო ეგვიპტეში, არამედ ახლო მახლო ქვეყნებშიც. ხალხი სტიროდა პურისთვის. იოსებმა გააღო ბეღლები და დაუწყა აღწევე მოგროვილ პურს გაყიდვა. ახლო მახლო ქვეყნებიდამ მოდიოდნენ იოსებთან ეგვიპტეში პურის სასყიდლად.

შიმშილმა თავი იჩინა ქანანის ქვეყანაშიაც, სადაც იოსების მამა და ძმები სცხოვრებდნენ. იაკობმა გაიგო, რომ ეგვიპტეში პურს ჰყიდდნენ და უთხრა თავის შვილებს: რაღას უყურებთ? წადით ეგვიპტეში პურის სასყიდლად, თორემ ყველანი შიმშილით დაეიხრცებით. იაკობის ათი უმფროსი შვილი გაემგზავრენ ეგვიპტეში პურის სასყიდლად. ყველაზედ უმცროსი შვილი იაკობისა, იოსების ტანისძმა ბენიამენი კი შინ დარჩა; იაკობმა არ გაუშვა იგი; ის ფაქრობდა: ვაი თუ გზაში რამე უბედურება შემთხვესო.

მივიდნენ თუ არა იაკობის შვილები ეგვიპტეში, მაშინვე იოსებს გამოეცხადნენ, როგორც მთელი ეგვიპტის უმფროსს და მოგროვილი პურის მმართველს. ძმები მივიდნენ და თაყვანი სცეს იოსებს მიწამდის. იოსებმა მაშინვე იცნო თავისი ძმები, მაგრამ მათ სხვა სახე უჩვენა და გულ-მოსულად დაუწყა ლაპარაკი.—საიღამ მოსულხართ? ჰკითხა მან.—ქანანია ქვეყნიდამ მოველით პურის სასყიდლად, უპასუხეს ძმებმა და იოსები სრულებით ვერ იცნეს. იოსებს მოაგონდა თავისი უწინდელი სიზმრები და უთხრა ძმებსა:—თქვენ მზევრავები უნდა იყოთ; თქვენ ალბათ მოხვედით ეგვიპტის დასაზვერადად.—არა, უფალო ჩვენო, მიუგეს ძმებმა, ჩვენ, შენი მონანი, პატიოსანი ხალხნი ვართ, მზევრავებად არასოდეს არ ვყოფილვართ. ჩვენ ერთი ქანანეელი კაცის შვილნი ვართ. ჩვენ ყველანი თორმეტი ძმანი ვიყავით; ერთი ჩვენგანი, დიდი ხანია, მოჰკედა და ერთიც სულ უმცროსი შინ მამასთან დარჩა. ამაზედ იოსებმა უთხრა: გეფიცებით, რომ აქედამ ვერ წახვალთ, ვიდრემდის სულ უმცროს ძმას არ მოიყვანთ. ერთი

თქვენგანი უკანვე წავიდეს და მოიყვანოს იგი, დანარჩენი კი აქ იქმნებით დაკავებულნი. ენახოთ, მართალს ლაპარაკობთ, თუ არა; თუ არა და მზევრავები ყოფილხართ. სთქვა თუ არა იოსებმა ეს, ძმები დააბატონა.

მესამე დღეს იოსებმა ხელ-ახლად უთხრა ძმებსა: აი რა ქენით, თუ გინდათ ცოცხალი დარჩეთ: ერთი თქვენთაგანი აქ დარჩეს და სხვანი კი წადით და მიუტანეთ ჰური თქვენს ოჯახობას. მერე მოიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა, რომ დავრწმუნდე, თუ თქვენ მართალს ლაპარაკობთ. როდესაც დავრწმუნდები, რომ თქვენ მზევრავები კი არა პატიოსანი ხალხი ხართ, მაშინვე გაგატანთ თქვენ აქ დარჩენილ ძმასაც და ნებას მოგცემთ ეგვიპტეში ვაჭრობისას. მაშინ ძმებმა დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი, იგინი ფიქრობდნენ, რომ იოსები მათ ლაპარაკს ვერ გაიგებდა: ჩვენ ეხლა ძმის გაყიდვისათვის ვიტანჯებით; ჩვენ ვხედავდით მის წვალებას, იგი გვევედრებოდა ჩვენ, მაგრამ არ შევიბრალებთ: აი ამისთვის ეხლა ჩვენ უბედურება მოგვევლინა! ამ დროს რუბიმმა სთქვა; ხომ გეუბნებოდით, ძმის ცოდვას ნუ დაიდებთ-ქო? თქვენ არ გამიგონეთ და აი ეხლა მისი სისხლი გეტანჯავს ჩვენ! იოსებმა ყოველივე ეს მოერხმინა, ძმებს გაშორდა და დაიწყო ტირილი; მერმე ისევ მობრუნდა, ბრძანა, რომ სიმონი მასთან დარჩენილიყო, დანარჩენი ძმები კი გაუშვა. იოსების ბრძანებისამებრ, მოსამსახურებმა გაავსეს ტომრები ჰურით და ჰურისთვის მოტანილი ვერცხლიც შიგ ჩაატანეს. ძმებმა აჰკიდეს ტომრები ვირებს და გაემგზავრნენ შინისაკენ. გზაზედ ერთმა ძმათაგანმა, ვირისთვის საკვების მისაცემათ, თავი მოხსნა თავის ტომარას, მან ტომარაში ვერცხლი ნახა და ეს ამბავი თავის ძმებს უამბო. იგინი ძლიერ შემოფოთდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ეს რა მოგვივლინა ღმერთმა?

მიადწიეს თუ არა შინ, შეილემბა იაკობს უამბეს ყველაფერი თავისი თავ-გადასახალი: თუ როგორ ცუდათ მიიღეს იგინი ეგვიპტეში, როგორ უნდოდათ მათი შეპყრობა, როგორც მზევრავებისა, მერე როგორ შეიბრალებს და სიმონის მეტი ყველა

გამოუშვეს იმ პირობით, რომ შემდგისათვის უსათუოდ ბენიამენიც წაეყვანათ. ამის შემდეგ ძმებმა გასცალეს ტომრები და მათგან ჰურის სასყიდლად წადებული ვერცხლი ისევ ტომრებში ნახეს; ამ ამბავმა ძლიერ შეაშინა, როგორც შეილები, აგრეთვე მამაცა. იაკობმა სთქვა: თქვენ შემომაცალეთ შეილები: იოსები აღარ მყავს, აღარც სიმონი და ეხლა ბენიამენის წაყვანას აპირებთ,—აი ეს ყველაფერა ჩემს თავს არისო! ვერ გამოუშვებ თქვენთან ბენიამენს, ეს ლა დამრჩენია და ამასაც. რომ რამე უბედურება შემემთხვეს, უდროვით საფლავში ჩამაგდებთო.

(შემდეგი იქნება)

აღიღე ჯვარნი, რომელიც მოგცა შენ ღმერთმა.

ხშირად მსმენია კაცთაგან ყვედრება ღვთისადმი: რა მიზეზია, რომ დალოცვილი ღმერთი ზოგიერთს აღამიანს ყოველისფრით კმაყოფილსა ჰყოფს—ამიღრრებს, აკეთებს და ზოგს კი შიმშილით სულსა ხდისო“. ამის პასუხად მე ვიამბობ, ჩემო საყვარელო მსმენელო, ერთს ძველს მოთხრობას, რომლიდანაც სცნობ, რომ ყოველი კაცი უნდა იყოს კმაყოფილი თავის ბედისა და არ აყვედრიდეს ღმერთსა, რადგან მან მხოლოდმან უკეთ უწყის, ვის რა მიაგოს.

იყო ერთი სულ-მოკლე გლეხი კაცი, რომელიც ცხოვრებდა თავისი შრომით,—მაგრამ იაც ღარიბათ, რომ ძლიერ გაჭირვებით ასახროდებდა ცოლ-შვილსა. ერთხელ ის წავიდა ზღვის პირად, ჩამოჯდა ქვაზე და ნიდაყვ დაბჯენილი გასცქერა და ძვირფასი საქონლით დატვირთულ მომცურავ გემებსა, რომლებსაც სკლიდენ ზღვის პირზე და მიჰქანდათ ქალაქებში გასასყიდათ. გლენ კაცს გულში ბოროტვა ფიქრმა გაუარა და სთქვა: «მე დალოცვილო ღმერთო, სხვებისათვის ამდენი სიმდიდრე მივიცია და მე კი



ლუკმა პურის მოპოვებაც მიჭირს, რა იქნება მეც მომხდლო წყალობის თვალთ და გამიუმჯობესო ტანჯული ცხოვრებაო!» შუადღისას მზის ლული იდგა. ფიქრებში გართულ გლესს თელემადააწყებინა და დაეძინა. ძილში მან ნახა, ვითომც იგი სდგას ერთ მაღალ მთის ქვეშ; მიღის მასთან ერთი პატროსანი თეთრ-წვერა მოხუცი და ეუბნება: «ჰოი, კაცო, ადრე და გამოამყე მე!» გლესი კაცი მიჰყვება მოხუცს. კაი ხნის მსვლელობის შემდეგ ისინი მივიდნენ ერთ ალაგს, სადაც ეწყო უნგარიშო რიცხვი ჯვრებისა: ოქროისა, ვერცხლისა, სპილენძისა, რკინისა, ქვსა და ხისა. «ხედავ ამ ჯვრებსა? ჰკითხა მოხუცმა გლესსა. «ამოიჩიე, რომელიც გინდა და აიტანე იმ მთაზე, რომლის ქვეშეც შენ გეძინაო». გლესმა ჯვრებს თვალი გადაავლო, ამოიჩიია ერთი დიდი მხესავით ბრწყინვალე ოქროს ჯვარი, წაატანა ხელი, მაგრამ ვერ დასძრა ადგილიდან. «არა, უთხრა მოხუცმა: «გეტყობა—ვერ ძალგძის ალება მაგ ჯვრისა. აიღე მეორე—ვერცხლისა, ვინძლო მოერიო». თუმცა ეს მეორე ჯვარი უფრო მსუბუქი იყო პირველზე, მაგრამ, ვერც ამას მოერიო გლესი კაცი. ასევე დამართა სპილენძის, რკინის და ქვის ჯვრების ალებაზედაც. ბოლოს უბრძანა მოხუცმა გლესსა აეღო ერთი რომელიმე ხის ჯვართაგანი. გლესმა აიღო ერთი მორჩილი ხის ჯვარი და მხატვთ აიტანა ნაჩვენებ მთაზე.

— რით მაჯილდოებ ამ ჯვრის მთაზე ატანისათვის? ჰკითხა გლესმა მოხუცსა.

— მე დაგაჯილდოებ შენ მით, რომ აგისხნი მნიშვნელობას ამა ჯვრისასო, უთხრა მოხუცმა და მოჰყვა: «ოქროს ჯვარი, რომელიც შენ ეგრედღიერ მოგეწონა და წაატანე ხელი, არის ჯვარი მეფისა. შენ ჰფიქრობ გუნებაში: «რა კარგი და ადვილი ხელობაა მეფობაო! მაგრამ იმას კი აღარ ჰფიქრობ, თუ რა ძნელია ხელობა მეფისა და რაზომ მძიმეა მისი ჯვარი. აი როგორ მოსვენებით გეძინა—ზღვის პირად! შენ არ გაწუხებდა არავითარი დარდი და ვარამი, ჰფიქრობდი მხოლოდ დღიურ საზრდოის მოპოვებაზე, რომელსაც ცოტად თუ ბევრად კიდევაც ჰპოულობ. მაგრამ სულ სხვაა დარდი და ვარამი

მეფისა. მას აქვს მინიჭებული ღვთისაგან სამეფო, რომელზედაც უნდა ზრუნვიდეს იგი. დილ-დან საღამომდის უნდა იყოს გართული სამართველო საქმეებში, სცდილობდეს მამულის დაცვას მტერთაგან, სცემდეს კანონთა და თვალ-ყურს ადევნიდეს მათ მტკიცედ აღსრულებას და სხვ. აი შეილო, ასე ძნელია მეფის ხელობა და მატომაც ვერ მოერიე მის ჯვარსა. ჯვარი ვერცხლისა არის მწყემსთა ეკკლესიისა და დაახლოვებულთა მსახურთა მეფისათა: ვეზირთა და მრჩეველთა მისთა, რომელნიც ეხმარებიან მეფესა სამეფოს მართვაში...»

ჯვარი სპილენძისა ეკუთვნის მათ, ვისთვისაც ღმერთს მიუცია სიმდიდრე. შენ გშურს მათთვის სიმდიდრე და ამბობ გუნებაში: ოჰ, რა ბედნიერი არიანო, მაგრამ არ არის საშურველი მათი ცხოვრება. მართალია, ისინი თავის თავად არ მუშაობენ და ყოველისფერი საკმაოდ აქვთ, მაგრამ მაგიერად მათ მტერიც ბევრი ჰყავს და მოშურნეც. შრომის შემდეგ შენ შეგიძლია მოსვენებით დაძინო. იცი, რომ ხელს არაფერ ახლებს არც შენს საწყალ ქოხს და არც შენს მცირე ქონებას. მდიდარი კაცი კი მარად შიშსა და ფიქრშია: ან არაფერ მოატყუოს, ან არაფერ გაჰქურდოს და ან არაფერ გარდასწყვას. ჯვარი რკინისა არის ჯვარი მხედართა. აბა ჰკითხეთ მათ, რომელნიც ყოფილან ომში და ისინი ვიამბობენ შენ; თუ რამდენ ჯერ შეხვედრათ მათ ღამის თვეა ღია ცაშიდა ქვეშნოტიო მიწაზე: სიცივე, სიმშოილი და სხვა ბევრი ამ ჯვარი გაჭირვება. ამას გარდა ხშირად თავისი სიცოცხლის საუკუნოდ შეწირვაც მეფის, მამულის და სარწმუნოების გულისათვის. ჯვარი ქვისა არის ჯვარი მოვაჭრეთა. შენ ძლიერ მოგწონს მათი ცხოვრება და გენატრება, შენც ღათსავით იყო: მაგრამ არც მათი ცხოვრებაა სანატრელი. არ გაგიკონია, რომ ზღვის იქით მიმავალს რამდენიმე ათასის და ათი ათასის მანეთის საღირალი საქონელი ეყიდოს, გემები დაეტვირთოს და უკან მომავალი მთელი მისი ნაფაჭრი ქონება ზღვის ტალღებს დაეღუპოს და შინ გატლევკილ ვალატაკებული მისულიყოს? არა, საშურველი არ არის მათი ქონება და მათი ჯვარი და არც თუ ყველას ძალუძს ალება და

ზიდვა მისი. განსაკუთრებით ძნელია აღება ამა ჯერისა პატროსან კაცთაგან. შენ, მიწის მუშაკს არა გაქვს შემთხვევა არც სიცრუისა, არც ქურდობისა, არც მოტყუებისა და არც ამაო ფიცისა. ვაჭარი კაცი კი ვერ ასცდება ამაგებს. ტყვილა კი არარის ნათქვამი საღმრთო წერილში: «ძნელ იხსნეს ვაჭარი ცოდვისაგან და არა გამართლდეს ღვინის მოფარდული ცოდვისაგან» (ისა ზირაქ. 26—27) შორის შეკრებათა ლოდისასა შეეხოს მონა და შორის გამსყიდველისა და მომსყიდველისა აღესრულოს ცოდვა. (ზირაქ. 27—2). ის ხის ჯვარი, რომელიც შენ აიღე და აიტანე მთაზე, არის ნამდვილი შენი ჯვარი. შენი ხელობა-მიწის მუშაობა უცოდველი ხელობა არის. რომ ყოფილიყავ მდიდარი, დაივიწყებდი ღმერთსა, თუ ყოფილიყავ ღიღბული, შეაწუხებდი სხვასა, ვაჭარი რომ ყოფილიყავი, მოატყუებდი ყოველთა და რომ მხედარი ყოფილიყავ, ვერ აიტანდი სამხედრო ბეგრის ტანჯვა-წვალებასა და აყვედრიდი ღმერთსა. გულთა მხილავმა უფალმა კარგად იცოდა, რომ შენ ყოველგვარ სხვა ხელობაში, გარდა მიწის მუშაობისა, დაღუბავდი შენს სულსა და ამისათვის მოგცა თვით მდაბალი და მსუბუქი ჯვარი—ჯვარი ხისა. წარვედ მშვიდობით, იყავ კმაყოფილი თავის ბედისა და ნულარ აყვედრი ღმერთსა შენის მღვთა-რობისათვის». მოხუცის უკანასკნელს სიტყვებზე გლენს გამოვლვიდა; შესწირა მადლობა ღმერთსა კეთილი სიზმრისათვის და ამიერ ქამდგან იყო კმაყოფილი თავის ბედისა.

აი, ძმანო, გაკვეთილი ჩვენგანისათვის. ვიყენეთ ჩვენცა კმაყოფილნი ჩვენის ბედისა. ჩვენ ყოველნი უყვარვართ ღმერთსა, ვითარცა ძენი და გვაძლევს ჩვენ თავის მოწყალებას ისე, როგორც ვის რა მოგვიხდება. მაშასადამე, ნურასოდეს ნუ ვიქმნებით მაცყვედრებელნი მისნი. რაც უნდა მოგვცეს ჩვენ ღმერთმა: ბედნიერება თუ უბედურება, სიმდიდრე თუ სიღარიბე, ავადმყოფობა თუ კარგათ მყოფობა, ყოველთვის და ყოველისათვის ვმადლობდეთ, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ სახელსა მისსა და ვიტყვოდეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, შენ უკეთ უწყი ყოველივე და ამისათვის იყო ნება შენი ჩვენზედა. ამინ.

მღვდელი მიხეილ გავაშულოვი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა საყურადღებოდ.

საეჭვო კითხვების განმარტებასა შესახებ ახალდაბადებულ ბავშვთა მონათვლისა და მათზე ღოცვების წაკითხვისა.

ჩვენი მკითხველებო, რასაკერაველია, ხშირად წაიკითხავდნენ ჩვენს გამოცემაში სხვა-და-სხვა საეკვო კითხვების განმარტებას ახალდაბადებულ ბავშვთა მონათვლის და მშობიარე ქალზე ლოცვების წაკითხვის შესახებ, მაგრამ როგორც სხვა-და-სხვა კუთხიდან მიღებული წერილებიდან ვრწმუნდებით, ბევრი კითხვებია დაშთენილი განუმარტებლად, რომელთა აღნა დიდს საჭიროებას შეადგენს არა მარტო უსწავლელ მღვდელთათვის, არამედ ზოგ სემინარიაში სწავლა დასრულებულთათვისაც. ამისათვის ჩვენ ამის შემდეგ ნამეტან ყურადღებას მივაქცევთ ამ განყოფილებას და, შეძლებისა დაკვარად, ვეცდებით განვხარტოთ ჩვენი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ჩვენდამო მომართული საეკვო კითხვები, რომლის განმარტება ყოველი მღვდლსათვის საჭირო და სასარგებლო იქნება.

ჩვენ გვეკითხებიან: როგორ და ან სად უნდა წაუკითხოს მღვდელმა ღოცვა მშობიარე დედა-კაცს?

მიგება. თვითონ ლოცვების სიტყვები და მათი აზრი ცხადათ ამტკიცებს, რომ ხსენებული ლოცვები უნდა წაკითხულ იქმნენ მღვდლიაგან პარველსავე ღღეს ბავშვის დაბადებისა და მელაგინის სახლში. მშვენიერი ჩვეულება სუფევდა და სუფევს ჩვენში ამ ლოცვების წაკითხვის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილას ქალაქებში და დაბებში ეს მშვენიერი ჩვეულება თან-და-თან ისპობა და, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, ისპობა ნასწავლის მღვდლების წყალობით. ყველას კარგად ახსოვს და

იცის, რომ ჩვენში სანამ მელოგინის სახლში მღვდელი არ მივა და არ «მოაკურთხებს სახლს» და მშობიარე დედა-კაცს არ წაუკურთხავს დანიშნულ ლოცვებს, საქმელ-სასმელის მიღებას არაფერს ვაბედავს. ეს ჩვეულება ზოგიერთმა წასწავლმა მოქალაქეებმა არ მოიწონეს და ხშირად უმტკაცოდენ ხალხს, რომ სასმელ-საჭმელის მიღებას მელოგინის სახლში «სახლის მოუკურთხებლობა» არ დააბრკოლებს და არ „შეაგინებს“. მოძღვრები, რასაკვირველია, მართალი იყვნენ ამ შემთხვევაში, მაგრამ ბევრს ადვილად, განსაკუთრებით დაბებში და ქალაქებში ამ მშვენიერი ჩვეულების გადაკლება და მოსპობა ის შედეგი იქონია, რომ ბავშვის მონათულადის აღარ იწვევენ მღვდელს. ორი-სამი თვის შემდეგ და ხშირად უფრო გვიანაც ბავშვის ნათლობას დღეს ქალი მოადის მღვდელთან და სთხოვს იმ ლოცვების წაკითხვას, რომელნიც პირველ დღეს უნდა წაკითხულყო მღვდლისაგან. ექვსი თვის შემდეგ მღვდელი ემდარება ღმერთსა, „რომ დავრდომილი გვამი მკვლისა, რომელმანც დღეს შვა ყრმა, შეიწყალოს და აღაღვინოს» და სხვ... ეს ძველი ჩვეულება საჭიროა მტკაცულ სრულდებოდეს ყოველს ადვილად და პირველსავე დღეს წაიკურთხებოდეს მშობიარე დედა-კაცზე და წესებულ ლოცვები. თუ მღვდელი არ იშოვება, ამ შემთხვევაში აიაზის წყალს ხმარობენ და ისე მიიღებენ სასმელ-საჭმელს, მაგრამ მღვდელს მაინც მოიწვევენ, ვადრემდის მელოგინე არ ამდგარა.

კითხვა. მშობიარე დედა-კაცზედ ლოცვებს წაკითხვა ჩვეულებრივი ანამაღლებულით და მოკლე ლოცვებს წაკითხვით უნდა იწვებოდეს, თუ პირდაპირ ისე, როგორც ტიბიკონი უნესს გურთხევანში?

მიგება. ყოველი ლოცვის წინ ტიბიკონით მღვდელმა უნდა სთქვას: «კურთხეულ არს», მერე სთქვან მოკლე დაწყებითი ლოცვები. ამ შემთხვევაში არ უჩენს ამ ნაირად დაწყებას და, რასაკვირველია, არც საჭიროა.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, თუ მშობლები ბავშვს დიდი ხნობით სტოკებენ მოუნათლავად?

მიგება. მღვდელმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ბავშვების მონათულად მშობლებმა არ დააყოვნონ. ჩვენს საქართველოში ძლიერ მოსაწონი ღონისძიებანი მისცა სამღვდლოებას ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდის კანტორამ ბავშვების აღრე მონათელის შესახებ. იმ ღონის და საშვალების ხმარებაც კი საკმაოა, რომ მშობლებს ადვილად შეეგონონ ბავშვის აღრე მონათულად, მაგრამ მაინც საჭიროა მოძღვარმა ყველას განუმარტოს ეკკლესიის წმ კანონი, რომელიც მშობლებს მისი შვილის უნათლავად სიკვდილისათვის უკრძალავს სამი წლის განმავლობაში წმ. ზიარების მიღებას, ყოველს დღეს უწერს ორას მეტანიას და მარხულობას ოთხშაბათს და პარასკევს. დღეს, მაღლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი მიეჩეია ბავშვების აღრე მონათულად...

დღვ. დ. ლამაშიძე.

რედაქციის პასუხი.

ოქროპირს. დღეს, ვგონებთ, ყველამ იცის, რომ შეწირულება ნებით უნდა და არა ძალით. ხათრს და მორიდებას თუ გაჭყვა კაცი, შორს წაგვიყვანს...

მღვ. ნ. ფი—შვილს. თქვენმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ თანაგრძნობა აღძრა ჩვენში. გითმობთ ორივე გამოცემას მექთად და შექმლებისა გვარად სხვა საჭირო ნივთებსაც თქვენი ღარიბი ეკკლესიისა და სკოლისათვის. მოაკითხეთ და წაიღეთ (მწუქმისს) სტამბიდან.

შეწირულებანი.

მ. რედაქტორმა!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის უფროსის «მწყემის» საშუალებით გულისთავად მადლობა გამოუცხადო ჩემი და მრევლის მხრით ჩემდამო რწმუნებულის უშუალოდ შედგენილი ეკლესიის სამრევლოთაგანთ აზნაურთ: პატა ქ. (იგივე სარლამში) ივანეს ძეს და კეთილმე ჯარუას ძეს გოგინავებთა, რომელთაც შემოსწირეს შემოსწირებულს ეკლესიას, საკურთხედ გამზადებულს, ტრახუზის შესამოსი, ღირებულად უმეტეს 35 მანეთას.

იმედია, ზემო აღნიშნულ პირებს აღმოუჩნდებათ თანამოაზრენი ჩემს სამრევლოშივე და შემოწირვენ რაიმეს, რომელსაც ესრედ საჭიროებს ღარიბი ეკლესია ესე. ვაჭრევე ამ შემოწირულებასე უმეტესად იმ საშუალო პირთა ურადლებას, რომელთაც აღუთქვეს ამ ეკლესიას ათ-ათი თუმნობით შემოწირვა შენობის დაწყებაშიდის, მაგრამ ჯერაც არ შეუსრულებიათ ეს დაპირება.

სას. გამომცემელი, მღვ. ვ. დანელია.

მ. რედაქტორმა!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის მატარებელი გაზეთის «მწყემის» საშუალებით გულისთავად მადლობა გამოუცხადო დაბა ვეირილაში მცხოვრებ მთავარის რედაქტორ გარემის ძეს მრევლის მხრით ჩემდამო რწმუნებულის უშუალოდ შედგენილი ეკლესიის სამრევლოთაგანთ აზნაურთ: პატა ქ. (იგივე სარლამში) ივანეს ძეს და კეთილმე ჯარუას ძეს გოგინავებთა, რომელთაც შემოსწირეს შემოსწირებულს ეკლესიას, საკურთხედ გამზადებულს, ტრახუზის შესამოსი, ღირებულად უმეტეს 35 მანეთას.

იმედია ამ კეთილ და ღვთისმოსავ პირთ შიბამეკლნი აღმოუჩნდებათ.

მღვ. ი. სალაძე.

ყ ლ უ რ გ ზ ნ ბ ი ა ს უ გ რ ო ყ რ ნ უ .

თათყუ	მამულუ	კურამიკუ	უმ-ე	სადამიკუ
ჩაყმუხის.	ჟ	ყ	ჟ	ყ
—	ყ	ყ	ჟ	ყ
—	ყ	ყ	ზ	ყ
—	ყ	ყ	რ	ყ
ჭყმუხის	ზ	ყ	ყ	ზ
—	ყ	ყ	ყ	ჟ
—	ყ	ყ	ყ	ჟ
—	ყ	ყ	ზ	ზ

ი ს უ ი ღ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხილიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში — «მწყემის»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და ვეირილაში — თვით გამომცემელთან.

- 1) ღარიბგება საღვთო სჯულის სწავლა-ბაზმად, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო სადმართო სჯულისა საეკლესიოსამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი 30 გ.
- 2) იგივე დაწიგება სადმართო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამოდლების ნიშნებით — ფასი 50 გ.
- 3) საქართველოს სამეცნიერო ისტორია ფასი უცდოთ 45 გ.
- 4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. ამ დოკუმენტში არის სრული სერობა, ჰარაგლისი დვთის-მშობლისა და ზიარების დოკვა — ფასი 30 —

- 5) ახალი კარაბადინი—მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რევიზიასთან.—ფასი 1 მან.
- 6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სასკლამდგანელო წიგნი—ფასი უდით 30 კ.
- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი უდით 40 კ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართვალთ განმანათლებელი,—ფასი 25—
- 9) გელათის მონასტარი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებლისა.—ფასი 25—
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი.—ფასი 5—
ამისივე წიგნი რუსულად—ფასი 10—
- 11) წმიდანი გლვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მოქრისი, სურათებით—ფასი 5—
- 12) მიჩქმა უშლისა, სურათით.—ფასი 2—
დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი 2—
- 13) ხარება უძლად წმიდა ღვთის-მომოხლისა სურათით—ფასი 2—
- 14) ბზობა სურათით—ფასი 2—
- 15) აღდგომა სურათით—ფასი 2—
- 16) კონსტოლი კილატას მეშულის წიკილი
- 17) თავის მემოგარ ქალთანქრესტეს შესახებ 5—
- 18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა 2—
- 20) წმიდა ნინა ქართველ-განმანათლებელი 2—
- 21) იო-მღვიმის მონასტერი და წმინდების აღწერა დიდისა მამისა ჩვენისა შიოსა სურათით—ფასი 5—
- 22) მიძინება უძლად წმიდა ღვთის-მომოხლისა, სურათით—ფასი 2 კ.
- 23) აგალეზა პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯარისა უშლისა სურათით 2—
- 24) ღვთის-მომოხლის დაბადება—სურათით 2—
- 25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მომოხლისა 2—
- 26) მსთარი (დაბადებიდამ მოთხრობა) სურათით—ფასი 5—

- 27) წმ. მოწამე რაჭდენი—სურათით ფასი 5—
- 28) ისო ძინა ზირაძინა სურათით 5—
- 29) დაწამითი ბაკვეთილავი საღვთო სჯულის სწავლავაზე ფასი 15—
- 30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) 30—
- 31) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალის მოვლაზე.—ფასი 10—
- 32) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული ჰოემა აკაკისა.—ფასი 5—
- 33) თამარ მეფე—სურათით 5—
- 34) მეფე დავით III აღმაშენებელი 5—
- 35) სასწავლო ჰამნი.—ფასი უდით 50—
- 36) ღვთისმომოხლის მიძინების სვინაქსარი (ლექსად).—ფასი 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 20 კ. ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასო ტალისა, ის ფოსტით გასაგზანს აქ იხდის.

ხატები და მხატრობანი.

მიღებულილია პეტარა იაფ ფასიანი ფიკრის ხატები ორი და სამგოჯიანი—ფასი 20 კ.

ხატები არის: მაცხოვრის, ივერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგისა, ანდრია მოციქულის პირველ-წოდებულისა და ათთორმეტთა დღესასწაულთა.

ვინც დაიბარეს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან გაეგზავნება თითო ხატი აბაზათ და ფოსტის გასაგზავნიც არა გაღახდება რა.

ამასთან იმეკონება სქელ ქადაზე ნახატი წმინდა ნინას, საქართველოს განმანათლებელისა ვარაუთ 8+7 გოჯიანი 20 კ.

ფოტო-ტაპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი 5 კ.

ამავე ზომისა და ამისთანავე ნახატი წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელისა

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირულ ვაგონათა მართულს

„მწყემს“-ზე



რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაწარმოებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ჭ ხალხის ცხოვრებას.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოში

ფ ა ს ი ქ უ რ ნ ა ლ ი ს ა :

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეირაძის რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირაძის, აგრეთვე ქუთაისშია.

ზარემე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1894 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურთვდება მოზრდილი მხატვრობა

თაქარ მეზის.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მიართმევს თამაძს თავის უკვდავ პოემას «ვეფხისტყაოსანს». ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შოთა რუსთველი და თამაძის მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.

შმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება ყუზლავს

- 1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობა დამზღვევი გარდაიცვალა.
- 2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.
- 3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება სამშითვოდ.
- 4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. შოსტის და დეპეშის აღრესი: Гру. зенбергу Тифлисъ.

(15—12).